# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 15 ნოემბერი, 2011 წელი.

№215 (6846)



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

## ამორალურმა და უზნეო ხელისუფლებამ პატრიარქის შეგონება უნდა შეისმინოს!



„საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის განცხადება არის კანონიერიც და ზნეობრივიც“

3

## და ჰა, იქუხა მრისხანებით სამების ზარმა!



6

## ვინ მტერია და ვინ მოყვარე?!

## არჩევნის ზღვარზე,

ანუ ვდგავართ თუ არა ახალი „იზმის“ წინაშე?

4



## „ბანკი ქართუ“ საკანონმდებლო ცვლილებებით შეშფოთებულია



2

## გაქცეული კაპიტალი ავლაბრის სასახლეში!

7

## უმრავლესობაში ერთმანეთს დაერივნენ

## სამხრეთ ოსეთმა მიიღო და ხელი მოაწერა



8

## ჩინოვნიკებმა თბილისის პარკები მიისაკუთრეს!

11



## „თვალახვეული ქალბატონი“ საინვესტიციო გარემოსთვისაც უნდა ირჯებოდეს...

7

◉ ჰაი, ტა-ტა-ტა-ტა!

# უმრავლესობაში ერთმანეთს დაერივნენ

**იმ პირთა სიის გამოქვეყნება, ვისაც ბიძინა ივანიშვილი ეხმარებოდა, საზოგადოებაში განხილვის თემად, ხელისუფლებაში კი, როგორც ჩანს, დაპირისპირების საბაბად იქცა. ყოველ შემთხვევაში, საპარლამენტო კულუარებში უკვე იმაზე საუბრობენ, რომ უმრავლესობა ერთმანეთს ეჭვის თვალით უყურებს.**

აღსანიშნავია, რომ გასულ კვირას ამის გამო უმრავლესობის ლიდერები, კერძოდ, აკაკი მინაშვილი, პარლამენტში, სხდომათა დარბაზის გვერდით მდებარე დეპუტატთა ოთახში ფრიდონ თოდუას საკმაოდ ხმამაღლა და მკაცრი ტონით საყვედურობდა იმის გამო, რომ ამ უკანასკნელს ანგარიშები „ქართუ ბანკში" ჯერაც არ დახურავს და მისგან კატეგორიულად მოითხოვდა ანგარიშების დახურვას. ფრიდონ თოდუა კი მინაშვილს მდუმარედ, თავჩაქინდრული უსმენდა.

ყოველ შემთხვევაში, ძნელი სათქმელია, თოდუამ შენიშვნა და საყვედურები მხოლოდ იმის გამო დაიმსახურა, რომ „ქართუში" აქვს ანგარიში გახსნილი თუ იმის გამო, რომ ივანიშვილისგან დაფინანსებასაც იღებს. ცხადია, თავად დეპუტატები ამაზე ხმამაღლა არ საუბრობენ.

მაგრამ, ნიშანდობლივი ის არის, რომ ამ სიის გამოქვეყნების შემდეგ კულტურის სამინისტროში ამ ადამიანებს ჯგუფებად იბარებდნენ და აფრთხილებდნენ, ამ დაფინანსებაზე უარი თქვით, თორემ რაც მოგივათ, თქვენ თავს დააბრალეთო. ამასთან, თითოეთვის ისიც უთქვამთ, რომ, თუკი მათ რჩევას არ გაითვალისწინებენ, ვერც ერთ შეჯიბრში ვერ მიიღებენ მონაწილეობას და კარიერასაც უმალ დაასრულებენ.

როგორც ჩანს, მათზე ხელისუფლების გაფრთხილებამ კარგად იმოქმედა, რადგან ამაზე ხმამაღლა არავინ საუბრობს, მაგრამ საქართველო პატარაა და ასეთი რამეები გაუგებარი არ რჩება.

გარდა ამისა, presage.tv-სთვის კიდევ ერთი დეტალი გახდა ცნობილი, კერძოდ, პარლამენტში უმრავლესობა ერთმანეთს მხოლოდ ივანიშვილის გამო არ დაპირისპირებია. იმ დროს, როდესაც ფრიდონ თოდუას „ქართუ ბანკში" გახსნილი ანგარიშების დაუხურავობის გამო საყვედურობდნენ, ერთმანეთს სიტყვიერად აკაკი მინაშვილი და დავით დარჩიაშვილი დაუპირისპირდნენ. დარჩიაშვილმა მინაშვილს იმის გამო უსაყვედურა, რომ მინაშვილმა ერთ-ერთ ელჩთან შეხვედრისას, ხელისუფლების პოზიცია კარგად ვერ დაიცვა. დარჩიაშვილის საყვედურის საპასუხოდ, მინაშვილმა დარჩიაშვილს იქვე შეჰყვირა, „შენ თავს მიხედეო". მართალია, მათი დაპირისპირება ხელჩართულ ჩხუბში არ გადასულა, მაგრამ ასეთი დაპირისპირებაც იმის მანიშნებელია, რომ მმართველ ელიტას, ივანიშვილის „დამსახურებით" ნერვები წესრიგში არ აქვს.

ჩვენთვის უცნობია მინაშვილმა ხელისუფლების პოზიციის დაცვა რომელ ელჩთან და რა საკითხზე ვერ მოახერხა, მაგრამ,



ულს პირდებოდნენ, რომ იმ თანხაზე, რასაც იღებდნენ, ასი ლარით მეტს მიიღებდნენ, ცხადია, სათანადო სიჩუმისა და ხელისუფლების მხარდაჭერის სანაცვლოდ.

სხვათა შორის, ასე გააფრთხილეს არა მარტო კულტურის სფეროს წარმომადგენლები, არამედ სპორტსმენებიც. ამ კატეგორიისკულუარებში ვარაუდობენ, რომ ეს სწორედ ივანიშვილთან და საარჩევნო თემატიკასთან „მოზმულ" ამბებს უნდა უკავშირდებოდეს, რადგან ბოლო პერიოდში მთავარი ინტერესის საგანი სწორედ ეს საკითხებია.

**თეონა ხარაბაძე**

◉ საბანკო ტერორი

**ბანკი „ქართუს" განცხადებით, ხელისუფლების მიერ წარმოებული უსამართლო პოლიტიკის შედეგად ბანკიდან 45 მლნ ლარის დეპოზიტების გადინება მოხდა. „ინტერპრესნიუსი" ბანკის განცხადებას უცვლელად გთავაზობთ.**

# „ბანკი ქართუ" საკანონმდებლო ცვლილებებით შეშფოთებულია

„ბანკი ქართუ" ისურვებდა, რომ ბოლო დროს მის გარშემო განვითარებულ მოვლენებს სამართლიანი სამართლის ინტერესები ედოს საფუძვლად. სამწუხაროდ, ხელისუფლების წარმომადგენლების უკანონო მოქმედებებს საფუძვლად მხოლოდ პოლიტიკური მიზნები უდევს. ბანკის მესაკუთრის ბ-ნ ბიძინა ივანიშვილის ახლობლების დაპატიმრებები, ტერორი მის სამშენებლო ობიექტებსა თუ სს „ქართუ ჯგუფის" სხვა ქონებაზე, საინკასაციო მანქანისა და ბანკის კუთვნილი მსხვილი თანხების დაყაჩაღებაძ „შავი ფულის გათეთრების" აბსოლუტურად უსაფუძვლო ბრალდებით, გაუგონარი ზეწოლა კლიენტებზე, რის შედეგადაც ბანკიდან დეპოზიტების გადინების საერთო თანხამ თითქმის 45 მლნ ლარი შეადგინა — ეს მხოლოდ ნაწილია იმ უკანონო ქმედებებისა, რაც ხელისუფლებამ უკვე განახორციელა. ყველაფერი დაიწყო ბატონი ბიძინა ივანიშვილის მიერ 2011 წლის 7 ოქტომბერს გაკეთებული საჯარო განცხადების შემდგომ, როდესაც მან საქართველოს ხელისუფლებაში არჩევნების გზით მოსვლის სურვილი გამოხატა.

ხელისუფლების წარმომადგენლების უკანონო მოქმედებებს რომ მხოლოდ პოლიტიკური მიზნები უდევს საფუძვლად, კიდევ ერთხელ დაადასტურა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა ბატონმა პეტრე ცისკარიშვილმა. მან ა.წ. 8 ნოემბერს საპარლამენტო ტრიბუნიდან განაცხადა: „საინტერესოა, რა მოხდება, ასეთი პიროვნება (მხედველობაშია ბიძინა ივანიშვილი), ებრაული წარსულითა და გვარით, დამასკოთი ან ისრაელის სახელმწიფოსთან სხვა დაპირისპირებული დედაქალაქით მართული, ისრაელში რომ ჩასულიყო და პროცესების მართვა მოესურვებინა. რომ მოეთხოვა მოქალაქეობა უნდა მივიღოო, ბანკებიდან ფული ჩემი საინკასაციო მანქანებით აქეთ-იქით უნდა ვატაროო... ასეთი განცხადებები რომ გაეკეთებინა იერუსალიმსა და თელ-ავივში, მას ვინმე გააჩერებდა? იფუნქციონირებდა პოლიტიკურად? ერთი წამით მაინც დაფიქრდით".

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის განცხადება ნათელს ხდის, რომ „ბანკი ქართუს" კუთვნილი საინკასაციო მანქანა ორ მილიონ აშშ დოლართან და ერთ მილიონ ევროსთან ერთად უკანონოდ არის ხელყოფილი პოლიტიკური და არა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მოტივით.

აღნიშნულ კონტექსტში უნდა განვიხილოთ მიმდინარე წლის 28 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის მიერ დაჩქარებული წესით მიღებული კანონიც „საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანის შესახებ". ამ კანონით სხვა ცვლილებებთან ერთად, ახალი რედაქციით არის წარმოდგენილი და ა.წ. 7 ნოემბრიდან უკვე ამოქმედებულია შესული „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის 823-ე მუხლი.



ეს ცვლილება სერიოზული დარტყმის ქვეშ აყენებს საქართველოს საბანკო სისტემას, ლახავს მისი, ასევე მთლიანად ქართული სახელმწიფოს საერთაშორისო იმიჯს, რამდენადაც შექმნილ საკანონმდებლო გარემოში ბანკი, როგორც პირველი რიგის იპოთეკარი, ფაქტობრივად აღარ წარმოადგენს უზრუნველყოფილ კრედიტორს და თუ იპოთეკის რეგისტრაციის შემდეგ აღმოჩნდება, რომ საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის წარმოშობის საფუძვლები არსებობდა ბანკის იპოთეკის რეგისტრაციამდე (თუმცა მოგვიანებით გამოვლინდაძ, მაშინ პირველ რიგში დაკმაყოფილდება საგადასახადო გირავნობა/იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნა და მხოლოდ შემდეგ (თუ რამე დარჩაძ ბანკის მოთხოვნა, რაც უგულებელყოფს საჯარო რეესტრის ჩანაწერების სისწორის პრეზუმფციას და ფაქტობრივად უარყოფს იპოთეკის არსსა თუ საყოველთაოდ აღიარებულ ფუნდამენტურ პრინციპებს.

ბანკების მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდება, თუ ბანკის კლიენტი ბანკში ჩადებული ქონების, მცირედი თანხის გადახდით, დაბრუნების მიზნით გაურიგდება შემოსავლების სამსახურს და თავად გახდება ე.წ. დარღვევის, ანუ საგადასახადო გირავნობა/ოპოთეკის წარმოშობის საფუძვლების „აღმოჩენაში" დამხმარე პირი.

რა მოცულობის ვოლუნტარიზმი მოჰყვება ამ ცვლილებებს, ძნელი გასათვლელია, მით უფრო, რომ ჩვენი ბანკის მმართველობის ძველი გუნდის, სავარაუდოდ, გააზრებული პოლიტიკის შედეგად, მსხვილი მსესხებლების მნიშვნელოვანი ნაწილი ხელისუფლების ოდიოზური ფიგურების კონტროლქვეშაა და გამორიცხული არ არის, ერთობლივად დაგეგმილი და ღრმად შენიღბული ახალი პროვოკაციები ვიხილოთ.

ცხადია, ასეთ ვითარებაში საკრედიტო დაწესებულებები არაპროგნოზირებად გარემოში ექცევიან და საბანკო სისტემის მდგრადობის ცნება მეტად მყიფე და საგადასახადო ორგანოების „კეთილ ნებაზე" დამოკიდებული ხდება, რაც უთუოდ შეუქმნის სერიოზულ პრობლემებს დეპოზიტართა და ბანკების სხვა კრედიტორთა ფულადი სახსრების დაცულობის საიმედოობას, ფაქტობრივად შეუძლებელს გახდის იპოთეკური საკრედიტო ოპერაციების განხორციელება-გაფართოებას.

სს „ბანკი ქართუს" ხელმძღვანელობის შეშფოთებას აძლიერებს ის გარემოება, რომ ორიოდე წლის წინათ, ზუსტად ანალოგიური საკანონმდებლო ინიციატივა დაიბლოკა, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის საბანკო სექტორის ერთობლივი ძალისხმევით; თუმცა დღეს არც საქართველოს ეროვნულ ბანკს, არც საბანკო ასოციაციასა და არც ერთ კომერციულ ბანკს მინიმალური პროტესტიც არ გამოუთქვამს აღნიშნულ საკითხზე, რაც უფრო მეტ საფუძველს უქმნის ეჭვს, რომ ეს საკანონმდებლო ინიციატივა პოლიტიკურადაა მოტივირებული და მხოლოდ სს „ბანკი ქართუს" სადამსჯელო ოპერაციად გამოიყენებენ; მით უმეტეს, რომ ცვლილებები ორგანულად ჯდება ბატონ ბიძინა ივანიშვილისა თუ საქართველოში მისი საკუთრების წინააღმდეგ განხორციელებული მრავალი უკანონო აქტის კონტექსტში.

ჩვენ ვაპირებთ გავაძლიეროთ მუშაობა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან. მათ უზარმაზარი ფულადი თუ ინტელექტუალური რესურსი აქვთ ჩადებული საქართველოში ცივილიზებული საბანკო ინსტიტუტების ჩამოყალიბება-განვითარებაში და ხშირ შემთხვევაში, თავად არიან ქართული საბანკო დაწესებულებების მნიშვნელოვანი წილის მფლობელები.

სს „ბანკი ქართუ" გამოთქვამს რა საფუძვლიან შეშფოთებას საქართველოს საბანკო სისტემაში ბოლო პერიოდში, მათ შორის ზემოთ აღნიშნულ საკანონმდებლო ცვლილებებთან დამოკიდებულებაში შექმნილი ვითარების გამო, მოუწოდებს საქართველოს ეროვნულ ბანკს, საბანკო ასოციაციას, საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებსა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს, პრინციპული შეფასება მისცენ ჩვენი ბანკის ირგვლივ შექმნილ რეალობას, რაც უთუოდ დამღუპველად იმოქმედებს მთლიანად საქართველოს საბანკო სექტორზე და წინ აღუდგნენ ბანკებთან პოლიტიკური ნიშნით ანგარიშსწორების მცდელობის თითოეულ შემთხვევას", — ნათქვამია განცხადებაში.

◉ ინფორმაცია

## გუბაზ სანიკიძე: ბიძინა ივანიშვილი ამ ქვეყნის შვილია და მას საქართველოს მოქალაქეობა აუცილებლად უნდა დაუბრუნდეს

**სანიკიძე მიიჩნევს, რომ „საკვირაო ქადაგებისას ილია მეორეს მიერ გაკეთებული განცხადება სწორედ პატრიარქის პოზიციის დაფიქსირება იყო".**

**„ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა აუცილებლად უნდა დაუბრუნდეს. ის ამ ქვეყნის შვილია, ქართველია", — განაცხადა სანიკიძემ.**

## ალასანია დეპუტატების რიცხოვნობის ზრდას ეწინააღმდეგება

**პოლიტიკური პარტია „თავისუფალი დემოკრატების" თავმჯდომარე ირაკლი ალასანია პარლამენტის წევრთა რაოდენობის 150-დან 190-მდე გაზრდას ეწინააღმდეგება და ამ საკითხის რეფერენდუმზე გატანას ითხოვს. როგორც მან პარლამენტის შენობის წინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, დეპუტატების რიცხოვნობის 40-ით გაზრდის გადაწყვეტილება, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ქუთაისში გადატანის მსგავსად, პრეზიდენტის ერთპიროვნული გადაწყვეტილებაა, თუმცა ქართულ საზოგადოებას დამატებით 40 დეპუტატი ნამდვილად არ სჭირდება.**

**„ეს არის მხოლოდ ის, რასაც სააკაშვილი სამუშაო ადგილების შექმნის მიმართულებით აკეთებს. ეს ადგილები მხოლოდ ბიუროკრატიისათვის იქმნება და 40 დეპუტატის ფუნქცია სრულიად გაურკვეველია. ამასთან, ამ გადაწყვეტილების შესრულება ათეულობით მილიონი ლარი დაჯდება", — აღნიშნა ირაკლი ალასანიამ.**

**მისი განცხადებით, დეპუტატთა უმრავლესობას ფართო საზოგადოება არ იცნობს.**

**„არაერთი რაიონი მოვიარე და აღმოჩნდა, რომ მოსახლეობის უმრავლესობამ საკუთარი მაჟორიტარის სახელიც არ იცის. ისინი ვერ იხსენებენ, რომ მაჟორიტარებს პარლამენტში ოდესმე მათი პრობლემური საკითხები დაესვათ", — აღნიშნა ირაკლი ალასანიამ.**

ინტერპრესნიუსი

გზავნილი საზოგადოებას

# ამორალურმა და უზნეო ხელისუფლებამ პატრიარქის შეგონება უნდა შეისმინოს!

## „საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის განცხადება არის კანონიერიც და ზნეობრივიც“

ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევამ საზოგადოება უკიდურესად აღაშფოთა. ხელისუფლების მხრიდან პოლიტიკური ანგარიშსწორების მცდელობაში ეჭვი არავის ეპარება. საქმე იქამდე მივიდა, რომ საკითხს ერის სულიერი ლიდერი გამოეხმაურა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს მიაჩნია, რომ ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა აუცილებლად უნდა მიენიჭოს. ამის შესახებ პატრიარქმა სამების საკათედრო ტაძარში საკვირაო ქადაგებისას განაცხადა.

**„დღეს ბევრი საუბარია იმასთან დაკავშირებით, ბიძინა ივანიშვილი უნდა იყოს თუ არა საქართველოს მოქალაქე. ის უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე, რა თქმა უნდა, რადგან ის ქართველია.**

**ვფიქრობ, ყველა ქართველი ადამიანი, დაბადებული საქართველოში თუ უცხოეთში, რომელსაც ქართული სული და ხორცი აქვს, უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.**

**მე მაწუხებს, რომ ასეთმა უბრალო საკითხმა გამოიწვია ასეთი არასასურველი კამათი. დარწმუნებული ვარ, რომ პრეზიდენტი გაითვალისწინებს ამას და მას საქართველოს მოქალაქეობას მიანიჭებს“,** — ბრძანა ილია მეორემ.

იურისტ ზაქარია ქუცნაშვილის ინფორმაციით, ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ გაკეთებული განცხადება მისი უწმინდესობის პირადი, ავტორიტეტული პოზიციის დაფიქსირებაა, რაც მისასალმებელია.

ქუცნაშვილი, რომელიც ბიძინა ივანიშვილის მრჩეველთა საბჭოს წევრი და ამავდროულად, საპატრიარქოს იურიდიული სამსახურის წარმომადგენელია, აცხადებს, რომ ეს პატრიარქის მხრიდან მოქალაქეობრივი და ზნეობრივი პოზიციის დაფიქსირებაა:

„ჩემი ინფორმაციით, ამ განცხადების გაკეთება პატრიარქმა საკუთარი ინიციატივით გადაწყვიტა, ვინაიდან ეს მისი პირადი პოზიციაა. ჩვენ ამ ფაქტს მივესალმებით. ეს არის მისი უწმინდესობის რჩევა, პოზიცია თუ მოთხოვნა, ნებისმიერ შემთხვევაში, სწორ ნაბიჯად უნდა შეფასდეს.

ესაა მესიჯი საზოგადოებისადმი, რომ მორალურად ბიძინა ივანიშვილი საქართველოს მოქალაქეა და ამას სამართლებრივადაც დავამტკიცებთ“.



ამასთან, ქუცნაშვილი არ თვლის, რომ პატრიარქის მიერ გაკეთებული განცხადება აღქმული იქნება, როგორც ეკლესიის მიერ პოლიტიკაში ჩარევის მცდელობა:

„როგორც საერო, ისე სასულიერო პირები ამ ქვეყნის მოქალაქეები არიან და ერზე ზრუნვა სასულიერო პირის მოვალეობაა. ასე რომ, ასეთი დიდი დამსახურების მქონე ადამიანისთვის საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევა უმაღლესი სასულიერო პირის მხრიდან უყურადღებოდ ვერ დარჩებოდა. პატრიარქის განცხადება არის კანონიერიც და ზნეობრივიც“.

სხვაგვარად ფიქრობენ უმრავლესობის წარმომადგენლები. ისინი ივანიშვილს და მის მომხრეებს მოუწოდებენ, „პატრიარქის სახელით არ ისპეკულირონ“. ილია მეორის განცხადების შეფასებისას მმართველი უმრავლესობის ლიდერები აქცენტს კვლავ მოქალაქეობის მინიჭებასთან დაკავშირებით კანონით განსაზღვრულ პროცედურებზე აკეთებენ.

„ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ ივანიშვილისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევა „სრული სამართლებრივი პროცედურის დაცვით მოხდა“, ხოლო რაც შეეხება მის აღდგენას, აქაც „კანონის შესაბამისი ნორმების გათვალისწინება უნდა მოხდეს“.

„ივანიშვილმა საქართველოს მოქალაქეობაზე უარი ორგზის თავადვე თქვა — პირველად როცა რუსეთის მოქალაქეობა მიიღო და შემდეგ, როცა საფრანგეთის მოქალაქე გახდა.

ამიტომ საუბარი იმის თაობაზე, რომ პრეზიდენტმა მას მოქალაქეობა შეუჩერა ამ თვალსაზრისით, არასწორია. მისი ნაბიჯი, რაც სასამართლოში წასვლას უკავშირდება, უპერსპექტივოა.

არსებობს მეორე გზაც, რაც იმაში გამოიხატება, რომ მოქალაქეობის ხელახალი მინიჭების თხოვნით კვლავ პრეზიდენტს მიმართოს, რაც თავიდან ბოლომდე მიხეილ სააკაშვილის დისკრედიტაციაა.

ის გარემოება, რომ ბიძინა ივანიშვილი რუსეთში გამდიდრებული ოლიგარქია, სხვა მოქალაქეთა წინაშე, რომელთაც ანალოგიური მიზეზითა და ფორმით საქართველოს მოქალაქეობა შეუჩერდათ, არავითარ პრივილეგიას არ ანიჭებს“, - განუცხადა „პირველს“ ნუგზარ წიკლაურმა, რომელიც საკუთარი პოზიციის დაფიქსირებისგან იმის თაობაზე, მიმართვის შემთხვევაში მისცემს თუ არა სააკაშვილი ივანიშვილს მოქალაქეობას, თავს იკავებს.

პრეზიდენტის გადაწყვეტილების პროგნოზირებისგან თავს იკავს უმრავლესობის კიდევ ერთი წარმომადგენელი დავით დარჩიაშვილი, რომელიც წიკლაურის მსგავსად მთავარ აქცენტს საკითხის სამართლებრივ მხარეებზე აკეთებს:

„პატრიარქი ამ შემთხვევაში მორალური პოზიციიდან საუბრობს, თუმცა საკითხის სამართლებრივი მხარე არსებობს და სამართლებრივი კუთხით ივანიშვილისთვის მოქალაქეობის შეწყვეტის შესახებ კითხვები არ უნდა არსებობდეს.

რაც შეეხება მოქალქეობის დაბრუნებას, აქაც სამართლებრივი პროცედურის დაცვაა საჭირო. გადაწყვეტილება პირველ რიგში, პრეზიდენტის პრეროგატივაა“.

ამასთან, ნუგზარ წიკლაურიც და დავით დარჩიაშვილიც ბიძინა ივანიშვილსა და მასთან დაახლოებულ პოლიტიკურ ჯგუფებს მოუწოდებენ, რომ აღნიშნულ საკითხზე საუბრისას ყურადღება სწორედ სამართლებრივ მხარეებზე გაამახვილონ და პატრიარქის სახელით არ ისპეკულირონ.

შეგახსენებთ, რომ ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილსა და მის მეუღლეს ეკატერინე ხვედელიძეს საქართველოს მოქალაქეობა მას შემდეგ ჩამოერთვათ, რაც ივანიშვილმა პოლიტიკაში წასვლის გადაწყვეტილება მიიღო და განაცხადა, რომ ის საფრანგეთისა და რუსეთის მოქალაქეობასაც ფლობს.

**ნიკა მეტრეველი**

მრავალჟამიერ ჩვენს პატრიარქს!..

# და ჰა, იქუხა მრისხანებით სამების ზარმა!

## ანუ, „ამას ველოდი, მოვესწარ“...

**დიახ, კვირას, წმინდა სამების საკათედრო ტაძარში 100 ათას მოწამეთა მიმართ მიძღვნილი სადიდებელი მსახურების შემდეგ, ერთი შეხედვით ჩვეულებრივი საკვირაო ქადაგებისას, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ბოლოს და ბოლოს წარმოთქვა ის სიტყვები, რომელთაც, აგერ უკვე თვეზე მეტია, მთელი საქართველო გულის ფანცქალით ელოდა.**

თუმცა „გულის ფანცქალით“, მსგავსი მეტაფორის თუ შედარების ხმარება იმ მოლოდინთან დაკავშირებით, რითიც სრულიად საქართველოს მოსახლეობა იყო მოცული, იმას ნიშნავს, რომ არაფერი თქვა დიახ, ასე იყო, რადგან ამ ლოდინში განფენილი იყო რაღაც საბედისწეროს განცდა ქართველი ერისა და აქედან გამომდინარე ეს ლოდინი იყო თხოვნისაც, მუდარისაც, ზოგჯერ, გნებავთ, მოთხოვნისაც საქართველოს დედა ეკლესიის მიმართ. ელოდა, რომ სულის მწურთნელს, აღმზრდელსა, და ერის სულიერების მფარველს გამოეხატა თავისი მკვეთრი, არაორაზროვანი პოზიცია იმ გაუგონარი, აღმაშფოთებელი ცინიზმის მიმართ, რასაც ბიძინა ივანიშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის წართმევა ჰქვია!

უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მისთვის ჩვეული სიმშვიდით დასვა კითხვა — „უნდა ჰქონდეს თუ არა ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა?

„რა თქმა უნდა უნდა ჰქონდეს“! — თავადვე უპასუხა თავისივე დასმულ კითხვას...

მაგრამ მანამდე, მართალია, უწმინდესის ხმას ელოდა, მაგრამ გულხელდაკრეფილი არ მჯდარა ქართველი კაცი. მიუხედავად უსინდისო, მძლავრი სახელისუფლებო პროპაგანდისა, რომ ივანიშვილი კრემლის პროექტი, პუტინის ბოლო იმედია საქართველოში და ა.შ. სხვა ათასი, მაგრამ „რუსი მოდის, რუსი მოდის“ კარგად ნაცნობ კონტექსტს ვერგამცდარი სისულელეებია, ქართველმა კაცმა იგრძნო, რომ ბიძინა ივანიშვილი პუტინის კი არა, საქართველოს (იქნებ ბოლო?) იმედია. ღვთის მიერ და მისივე ნებით მოვლენილი ბოლო შანსია, ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველოს გადარჩენისა!

სხვათა შორის, ზუსტად ისევე, როგორც არაერთხელ ყოფილა მრავალტანჯული საქართველოს ისტორიაში: როცა ყოფნა-არყოფნის ზღვარზე მდგარ ქვეყანას, რომელსაც ობიექტურად არაფრის იმედი არ უნდა ჰქონოდა, მოულოდნელ მხსნელად ზნეობრივი გმირები მოვლინებიან. თუმცა ბიძინა ივანიშვილი, მიუხედავად მისი დათესილი სიკეთეებისა, ჯერ მაინც შორს დგას „ერის ზნეობრივი გმირის“ თიკუნისგან.

რადგან სულ „მცირედი“ რამ აქვს გასაკეთებელი — ბოლომდე მიიყვანოს დაწყებული საქმე (როგორც შერეკილი ხუტა ოდილავაძე იტყოდა, „თვალი დაუდგა ევროპას“ და მის გაკვირვებას ბიძინას აშენებული დემოკრატიით). ანუ ეროვნულ, ტრადიციულ, მართლმადიდებლურ ღირებულებებზე დაფუძნებული საქართველო თუ ავაშენეთ, მაშინ იქნებ გაუტოლდეს კიდეც ბატონი ბიძინა საქართველოს ისტორიაში აღიარებულ ეროვნულ, ზნეობრივ გმირებს!

მაგრამ მგონი კალამი გამექცა და...

ერთი სიტყვით, ქართველმა კაცმა, რომ იტყვიან, თითქოს ტანით იგრძნო მოცემული ვითარების საბედისწეროება და რითიც შეუძლია თუ არ შეუძლია, გვერდში უდგას ბიძინა ივანიშვილს — დაწყებული „ქართუ ბანკის“ მიმართ მასობრივი სოლიდარობით და დამთავრებული (ჯერჯერობით სხვა ძმედებების საჭიროება არ დამდგარა) ხელმოწერების შეგროვებით, მისთვის ჩამორთმეული მოქალაქეობის აღდგენის მოთხოვნით.

ამ ყველაფერს ერთი რამ აკლდა: ის აკლდა, რითაც ერთმა, პატრიარქთან დაახლოებულმა პოეტმა, საკუთარ თავს უფლება მისცა და, არაერთხელ ლექსად მოუწოდა ილია მეორეს — „უნდა იქუხოს მრისხანებით სამების ზარმაო“!

და, აჰა, როგორც ზემოთ ითქვა, გასულ კვირას იქუხა კიდეც...

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ, თუ არ ჩავთვლით პატრიარქის ამ განცხადებას, ჯერ არ მომხდარა ივანიშვილის განაცხადის თანაზომადი წონის, გნებავთ, მნიშვნელობის მოვლენა! თვით ამასწინანდელი „დიდი ელჩობის“ ჩათვლით ბიძინას რეზიდენციაში...

დიახ, მისი უწმინდესობის ერთმა სიტყვამ გადაწონა, ზემოთ ნახსენები ყველა სხვა საზოგადოებრივი აქტივობა. სწორედ ამას მოითხოვდა და ელოდა ქართველი ერი, რომ მის უწმინდესობას თავისი ჩვეული, მშვიდი, აუღელვებელი ტონით ეთქვა ის, რაც თქვა, რადგან კარგად იციან ქართველმა ხალხმა და, რაც მთავარია, ქართველთა სასჯელად მოვლენილმა მიშნაცებმა, თუ რაოდენი მრისხანებაა ამ „სიმშვიდეში“...

ვერაფრით გააჩერეს მიშნაცებმა ჩვენი პატრიარქი. რომ ჰგონიათ ახლა უკვე „მოარჯულეს“, მოათვინიერეს, სწორედ მაშინ იქუხებს ხოლმე მისი სიმშვიდე:

ასე იყო მაშინ, როცა გაწბილებული წავიდა ხალხი სამებიდან, სადაც 26 მაისს სტადიონიდან ზღვა ხალხი მიაყენეს პატრიარქს და მეორე დღეს გააკეთა პატრიარქმა განცხადება საქართველოში სამართლიანი არჩევნების ჩატარების აუცილებლობის შესახებ. რაც იმასაც ნიშნავდა, რომ აქამდე ჩატარებული არჩევნები, რბილად რომ ვთქვათ, მთლად სამართლიანი ვერ იყო...

ასე იყო მაშინაც, როცა მისმა უწმინდესობამ გააკეთა ცნობილი განცხადება უგუნური გემის კაპიტნის და წყალქვეშა კლდეების თაობაზე. რაც იმასაც ნიშნავდა, რომ აგვისტოს ომის თავიდან აცილება, გონიერი პრეზიდენტის შემთხვევაში, სრულიად შესაძლებელი იყო!

იხ. 5 გვ.

# არჩევნის ზღვარზე,

## ანუ ვდგავართ თუ არა ახალი „იზმის“ წინაშე?

**მაპატიე, ძვირფასო მკითხველო, მაგრამ ეს წერილი ბოლო ერთი თვის განმავლობაში მრავალჯერ გამეორებული და უკვე გაცვეთილი ფრაზით უნდა დავიწყო: — ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლამ ძალიან დიდი ძვრები გამოიწვია!**

დიახ, ნამდვილად დიდი ძვრები გამოიწვია.

არადა ყველასათვის ცნობილია, რომ ნებისმიერმა ცვლილებამ, ნებისმიერმა „შეჯანჯღარებამ“, ანუ ე.წ. „სტატიკური“ მდგომარეობიდან ამ შემთხვევაში კი სტაგნაციური მდგომარეობიდან“, თუნდაც სულ მცირე გადახრამაც კი შესაძლოა ისეთი კატაკლიზმები გამოიწვიოს, რომლის შედეგების გამოსწორებას რამდენიმე ათწლეული დასჭირდეს (შეგახსენებთ ე.წ. „პეპლის ეფექტს“: — პეპელამ ტრანსილვანიაში რომ ფრთები დაიქნიოს, ამას შეიძლება კალიფორნიაში ქარიშხალი მოჰყვეს).

ბუნებრივია, რომ ყველა პლუსს, თავისი მინუსიც ახლავს და ყველა მინუსს, თავისი პლუსი, მაგრამ „გრანდიოზული რყევების“ მაინცადამაინც ნუ შეგეშინდებათ. რაც არ უნდა იყოს, მაინც საქართველოში ვართ და არა სადმე საბერძნეთსა თუ იტალიაში (იმედია მიხვდით, თუ რატომ ვახსენე ეს ორი ქვეყანა) და ამიტომ მშვიდად, აუჩქარებლად და ყოვლად უემოციოდ შევაფასოთ არსებული რეალობა.

შევაფასოთ ყოვლად უემოციოდ და თითოეული პუნქტი შეძლებისდაგვარად განვიხილოთ, რადგანაც თუ უემოციოდ შევხედავთ, ავტომატურად ჩნდება სიტყვა „მაგრამ“.

დიახ, სწორედ ის „მაგრამ“, რომელსაც ზოგჯერ ცივი წყლის გადასხმა და ზოგჯერ შეცდომებისგან თავის არიდება შეუძლია.

მაშ ასე, დავიწყოთ:

### მოხდა ქართული მედიასივრცის სრული ლუსტრაცია

მოხდა და როგორც საქართველოს მოსახლეობამ, ასევე საერთაშორისო საზოგადოებამ კარგად დაინახა, რომ საქართველოს ხელისუფლებისა და მასზე დაქვემდებარებული მედიასაშუალებების ლექსიკონში ტერმინი „თავისუფალი სიტყვა“, არ არსებობს.

ეს ერთის მხრივ კარგია, რადგანაც უკვე მივიწყებულ ლოზუნგში, „რუსთავი 2“ — დეზინფორმატორი“, „იმედმა“, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა, „ტაბულამ“, „პრესა.გე“-მ, „რეალ-ტვ“-მა და კიდევ ზოგიერთმა გამოცემამ თავიანთი ადგილი იპოვეს.

კარგია, რადგანაც მოსახლეობამ სწორად შეაფასა როგორც ზოგიერთი ტელეკომპანიისა თუ გამოცემის, ასევე ზოგიერთი ვითომდა „თავისუფალი ჟურნალისტის“ მისწრაფებები და დაინახა მათი ნამდვილი სახე.

ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ...

აღმოჩნდა, რომ ამდენი წელი „მწარედ გვატყუებდნენ“.

აღმოჩნდა, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი, ანუ ის ხალხი, ვისაც ბეჭდურ მედიაზე ხელი არ მიუწვდება, ინფორმაციულ მირაჟში ყოფილა.

აღმოჩნდა, რომ ყველა ის ტელეკომპანია, რომლებიც მთელს საქართველოს ფარავენ, ხელისუფლების დაკვეთას, ანუ ხალხის მოტყუების და „ტვინის გამორეცხვის“ მეტს არაფერს არ აკეთებდნენ.

აღმოჩნდა, რომ ამ მედიასაშუალებების ეთერით გადაცემული ნებისმიერი გადაცემა (პოლიტიკური თოქ-შოუ იქნება ეს, მუსიკალური გადაცემა, სერიალი, თუ კომედიური პროგრამაძ მხოლოდ და მხოლოდ მოსახლეობის „დაბოლების“ მეთოდი ყოფილა და ჩვენი „საყვარელი ჟურნალისტები“, ტელეწამყვანები, თუ „მსახიობები“, ჩვეულებრივი ჩინოვნიკები არიან.

ის ჩინოვნიკები, რომლებიც „პირუთვნელად“ ასრულებენ „დებულებით“ გათვალისწინებულ მოვალეობებს და არა მარტო არსებულ რეალობას ამახინჯებენ (ძალიან რბილად რომ ვთქვაძ, არამედ აუხდენელი ოცნებების ტყვეობაში ამყოფებდნენ საზოგადოების დიდ ნაწილს.

აღმოჩნდა, რომ არც ზოგიერთი „ოპოზიციურად“ განწყობილი მედიასაშუალების მფლობელებიც არ ყოფილან „ფრთიანი ანგელოზები“. ისინი ხშირად მერკანტილურ ინტერესებზე უფრო ფიქრობენ, ვიდრე ხალხის პრობლემებზე.

### მოხდა პოლიტიკური სპექტრის ნაწილობრივი ლუსტრაცია

ანალოგიური სიტუაცია მოხდა ე.წ. „ქართულ პოლიტიკურ სპექტრშიც“.

აქაც საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა პროცესები.

ნათლად გამოჩნდა, თუ ვინ „ათამაშებდა ერთ ადგილს“ ამდენი ხნის განმავლობაში და ვინ იყო ნამდვილი ცვლილებებისთვის მებრძოლი.

ნათლად გამოჩნდა ხელისუფლების სილაჩრე.

გამოცოცხლდა დაჭაობებული პოლიტიკური გარემო.

საერთაშორისო საზოგადოებას საქართველოში ჩამკვდარი დემოკრატიული ინსტიტუტების ამუშავების გარკვეული იმედი გაუჩნდა.

რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ...

ივანიშვილის კართან გაკოტრებული პოლიტიკანების რიგი დადგა. იმ პოლიტიკანების, რომლებიც უკვე კარგა ხანია, მიმხვდარნი იყვნენ, რომ მომავალ პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი ადგილი „პარაშასთან“ იყო, მაგრამ ივანიშვილის „ფრთის ქვეშ დაბუდრებით“ მათ ისევ „თეთრ რაშზე ამხედრების“ სურვილი დაუბრუნდათ.

**რესპუბლიკელებსა და ალასანიაზე „სტავკის“ გაკეთებით, ასევე ზოგიერთ პოლიტიკოსსა თუ „პერებეზჩიკზე“ დადებითი შეხედულებების გამოთქმით, ივანიშვილმა საზოგადოებაში ქართული ოცნების ასრულების იმედი დაამუხრუჭა.**

დაამუხრუჭა, რადგანაც ყველასათვის ცნობილია, რომ რესპუბლიკელებისა და ივანიშვილის მრჩეველთა საბჭოში მოკალათებული ზოგიერთი ადამიანის „ქართული ოცნება“, სულაც არ არის ქართული. მათი ოცნება უფრო „თავისუფლების ინსტიტუტის“ ოცნებას ჰგავს (შეიძლება თამამად ითქვას, რომ „ჰგავს“ კი არა, უარესიცაა).



ამ „მაგრამთან“ დაკავშირებით კითხვები ძალიან ბევრ ადამიანს გაუჩნდა.

სოციალურ ქსელ ფეისბუკზე შეიქმნა გვერდი სახელწოდებით „რა შეკითხვით მიმართავდით ბიძინა ივანიშვილს“, რომელზეც სხვადასხვა პროფესიისა თუ ასაკის ადამიანებმა, მრავალი შეკითხვა დასვეს. გთავაზობთ რამდენიმე მათგანს.

**1. ანა მიქაძე-ჩიკვაიძე, ჟურნალისტი, ბიზნესმენი:**

**ჩემო ბიძინა, მე ის კატეგორია ვარ, რუსეთის ხელს რომ ხედავს თქვენს გაპოლიტიკოსებაში, მაგრამ წლებია ვარ „რესპების“ ამომრჩევლი. კი ვარ ახლა „გაჭედილი დასაკლავი ვარიასავით“ — „რესპები“ მიყვარს, თქვენი გულწრფელობის კი, არ მჯერა. მინდა გთხოვოთ, რაიმე მითხრათ, მე რიგით მოქალაქეს ისეთი, რომ დაგიჯეროთ. დამამშვიდეთ — რას უქადით ამ საცოდავ ქვეყანას? უკან რუსული ლომის ხახაში, თავისი წეს-ჩვევებიანად ხომ არ შეგვაბრუნებთ?**

**2. ლიკა-ხატია ყარალაშვილი, მხატვარი:**

**რატომ აიყვანეთ პირად ვექილად ეკა ბესელია და ხომ არ აპირებთ პოლიტიკური გვამების გაცოცხლებას?**

**3. ირაკლი ჟვანია, მოქანდაკე:**

**ბატონო ბიძინა, თუ მოხვალთ ხელისუფლებაში და არ გააკეთებთ იმას, რასაც დღეს ამბობთ, რა მექანიზმი გვექნება, რომ ხელისუფლებიდან „ჩამოგაშოროთ“? თუ კვლავ რევოლუცია უნდა მოვაწყოთ ან თქვენს საპირწონედ ახალი ოლიგარქი ვეძებოთ?**

(ამ შეკითხვებზე ჩემს კომენტარს არ გავაკეთებ. უბრალოდ ვიტყვი, რომ, როგორც ხედავთ, თვით „რესპების“ (რესპუბლიკელები) „ფანებსაც“ არ ეხატებათ გულზე ბიძინა ივანიშვილი. არ „ეხატებათ“, რადგანაც მისი პიროვნება მაინც იმ ქართულ ოცნებასთან იგივდება, რაც „რესპების“ ოცნებისგან საკმაოდ შორს დგას).

ივანიშვილის მიმართ გაჩენილი შეკითხვების პარალელურად გაჩნდა სხვადასხვა მოსაზრება, რომელთა ცივ გონებაზე (ვიმეორებ: — „ცივ გონებაზე“) წაკითხვა მომავალი პროცესების განვითარებისადმი საკმაოდ სერიოზულ დაფიქრებას გვაიძულებს.

გთავაზობთ ერთ-ერთ მათგანს (ავტორის გვარს სპეციალურად არ ვუთითებ, რადგანაც მის მიმართ საზოგადოებაში საკმაოდ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს და არ მინდა, რომ მოსაზრების შეფასებისას ავტორის პიროვნებამ იქონიოს გავლენაძ.

**„მესიის მოლოდინში დაბრმავებული ხალხი. აი გამოჩნდა ახალი მესია — დათო და ლევან ბერძენიშვილები თეთრ რაშზე, იქით ალასანია — ფასკუნჯზე. აი გაიხსნა ცა და გამოჩნდნენ რესპუბლიკელები,შეეგებეთ ახალ მესიას მათი სახით, თუ გინდათ ცისკარზე ილოცეთ მათზე,ხოლო იმ ხალხს, ვინც საქართველოს და ეროვნულობას იცავდა, შავრაზმელები დაუძახეთ და განდევნეთ, უეჭველად წინ წახვალთ.უბრალოდ სოროსის ერთი სოროდან მეორე სოროში შეყოფთ თავს. ეეჰ, ესე იყო ზუსტად 2003 წელს, მაშინ როდესაც იგივე ხალხი მიშას ელოდებოდა მესიად, თავის სოროსთან და რესპუბლიკელებთან ერთად.რამ დაგაბრმავათ??? ნუთუ არავის შეგწევთ ძალა შეუძახოთ მაინც, რომ რესპუბლიკელებთან ერთად ეროვნული საქმე არ გაკეთდება. თორემ გნახავთ 1 წელში მათ მლანძღველთა და მაგინებელთა რიგში და მერე დაიწყება — შევცდი, მე რა ვიცი ვინ იყვნენ ეს რესპუბლიკელებიო და ა.შ.მერე მართლა გვიან იქნება“.**

არც ამ მოსაზრებაზე გავაკეთებ კომენტარს. არ გავაკეთებ და უბრალოდ ვიტყვი, რომ აბანოსი არ იყოს, „თეთრიც კარგად ჩანს და შავიც“.

### ხალხი გამოფხიზლდა და ცვლილებების იმედი გაუჩნდა

გამოფხიზლდნენ.

გამოფხიზლდნენ და არა მხოლოდ იმათ, ვინც არჩევნების დროს ასე თუ ისე, მაინც იხდიდა თავის მოქალაქეობრივ ვალს, გაუჩნდა რეალური ცვლილებების იმედი, არამედ იმათაც, ვინც პოლიტიკურ პროცესებში ნებისმიერი სახით მონაწილეობის მიღების წინააღმდეგი იყო და მრავალწლიან დარდს უბანში, მეზობლებთან „ნწუ, ნწუ, ნწუ, რას გვიშვება ეს მთავრობას“ ძახილში ახშობდა.

„ქართუ ბანკის“ წინააღმდეგ განხორციელებული ყაჩაღობის შემდეგ, უამრავმა ადამიანმა ამ ბანკში ანგარიში გახსნა და ამით თავიანთი პოზიცია დააფიქსირა.

გაირღვა ინფორმაციული ვაკუუმი.

რეგიონებში დარჩენილი ხალხი, ის ხალხი, რომლებიც ქვეყანაში არსებულ ვითარებას „კურიერების“ საშუალებით გებულობდა და „გაზაფხულის მათ ქუჩაზე მოსვლის“ მოლოდინში „100-პროცენტიანი დასაქმებულობისგან“ დარჩენილ თავისუფალ დროს სერიალების, მაიკო ასათიანის, ნანუკას და „კომედი“ შოუების ცქერაში ატარებდა, ცოტა „აზრზე მოვიდა“.

რა თქმა უნდა, საზოგადოების ასეთი გააქტიურება კარგია, მაგრამ...

მოქალაქეების ინდიფერენტული ნაწილი იმდენად მიეჩვია უმუშევრობას (დიახ, სამწუხაროდ „მიეჩვია“ძ, რომ მათ ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლა, მისი ქველმოქმედების „გაზიარების“იმედად მიაჩნიათ.

„ქართუ ბანკის“ ახალი მეანაბრეების გვარიანი ნაწილი, მათ მიერ შეტანილ თანხებზე ორი ნულის მიწერას თუ არა, გაორმაგებას მაინც ელოდება (ეს მეც ვიცი და თქვენც. ამიტომ ახლა არ მითხრათ „როგორ გეკადრებაო“. ყველას შეგვიძლია ასეთი „მხარდამჭერების“ გარკვეული რაოდენობის ჩამონათვალის გაკეთება და ყველამ ვიცით მათი პოლიტიკური “კრედო“. ისინი ხშირად გვინახავს მიტინგებზე, საპროტესტო აქციებსა თუ ღონისძიებებზე 10, 15, თუ 20 ლარის მოლოდინში. ამიტომ ამაზე საუბარს არ ვაპირებ).

### ხელისუფლება შეშინდა

ხელისუფლება უბრალოდ კი არ შეშინდა, მაგრამდაც დაფრთხა.

დაფრთხა და რამდენიმე დიდი შეცდომაც დაუშვა.

ივანიშვილისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევა, „ქართუ ბანკის“ საინკასაციო მანქანის დაყაჩაღება, ორგანიზაციებისთვის „ქართუ ბანკის“ მომსახურებაზე უარის თქმის იძულება, ივანიშვილის მხარდამჭერებზე ზეწოლის განხორციელება, პრესკონფერენციაზე ჩადენილი სისულელე, „მეტრომანის“ ბარათებზე ხუთი ლარის ჩარიცხვა და სხვა მრავალი სისულელე, ამ ხელისუფლების „ჩამოუშლელობის“ შესახებ არსებულ მითს ფაქტობრივად აცამტვერებს.

დიპლომატიური კორპუსის მთელი შემადგენლობის „ხლება“, ჯერ არ დაფუძნებული პოლიტიკური ორგანიზაციის ლიდერის სახლში...

ეს ერთის შეხედვით შესანიშნავია, მაგრამ...

მაგრამ ეს მხოლოდ ერთის შეხედვით.

გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ, რომ არც ეს ხელისუფლებაა ჯაბანი.

მათაც საკმაოდ დიდი ფინანსური რესურსი აქვთ (საქართველოში არსებული ყველა საწარმო, „ვისოლი“ იქნება ეს, „საქართველოს ბანკი“ თუ სოფელ ჭანჭიეთის“ შესასვლელში მდგარი „ბუტკა“, ამ ხელისუფლების წარმომადგენლებისგან კონტროლდება).

მათ საკმაოდ სოლიდური ადმინისტრაციული რესურსი აქვთ ფინანსურ თუ კრიმინალურ მაქინაციებში გახვეული ადამიანების სახით (პოლიცია, ჯარი, სახელმწიფო დაწესებულებებში მომუშავე ადამიანები, ასევე კერძო სტრუქტურებში დასაქმებული ხალხი, რომლებსაც საკმაოდ ნორმალური ხელფასები აქვთ და რომლებისთვისაც ნებისმიერი პოლიტიკური ცვლილება, პირადი კეთილდღეობის ეჭვქვეშ დაყენების ტოლფასია. ასეთ დროს მხოლოდ მათი პირადი იდილია კი არ ინგრევა, ისინი არა მხოლოდ გაუსტუმრებელი კრედიტების, არამედ ზრდადი მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობის წინაშეც დგებიან“.

ახალგაზრდები (ამ თემას არ შევეხები, რადგანაც არ მინდა ვილაპარაკო იმ ნიჰილიზმზე, იმ გაუნათლებლობაზე, იმ მერკანტელიზმზე, რაც დღევანდელი ახალგაზრდობის საკმაოდ დიდ ნაწილში „წარმატებულად განხორციელებულმა“ განათლების რეფორმამ ჩანერგა)!

და რაც ყველაზე მთავარია:

ბიძინა ივანიშვილის თანაგუნდელებს მიხეილ სააკაშვილის თანაგუნდელები ყოველთვის სჯაბნიდნენ.

დიახ, სჯაბნიდნენ ყოველთვის და ყველაფერში.

ბოკერია ყოველთვის „უჯოკრავდა“ ხიდაშელს.

კუბლაშვილი — „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას“ (წარმოგიდგენიათ, ერთი სჯობნიდა ამხელა ორგანიზაციას).

მერაბიშვილი — ყველა დანარჩენს (გავაგრძელო? მე მგონი, არ ღირს“).

მოკლედ რომ ვთქვა, როდესაც სააკაშვილი თავისი „ნაკრებისთვის“ ხალხს არჩევდა, „შესარჩევ ტურნირში“ რესპუბლიკელებმა ვერც ერთი „ლიცენზია“ ვერ მოიპოვეს (თუ არ ჩავთვლით რომან გოცირიძეს, რომელიც დღეს აღარავის ახსოვს).

„რესპუბლიკელები“ იქეთ იყვნენ და ივანიშვილის „მრჩეველთა“ საკმაოდ დიდმა ნაწილმაც ვერ მოახერხა სააკაშვილის გუნდში მოსახვედრი „ლიცენზიის“ მიღება (არადა როგორ „ჩალიჩობდნენ“. ხან წვიმაში იდგნენ, ხან გაზეთ „24 საათში“ წერდნენ „ოპოზიციურ“ წერილებს, ხან სად იყვნენ და ხან სად).

კიდევ უამრავ საკითხზე შეგვეძლო გვესაუბრა.

შეგვეძლო გვეფიქრა დანგრეული სოფლის მეურნეობის აღდგენის პერსპექტივასა და ტურიზმის განვითარებაზე. ქართული კულტურისა და მეცნიერების აღორძინებაზე. საერთაშორისო თანამეგობრობაში საქართველოს ინტეგრაციაზე. ბოლოს და ბოლოს, პერსპექტივაში პირველი ქართველი კოსმონავტის შესახებაც შეგვეძლო გვეთქვა ორიოდ სიტყვა, მაგრამ...

მაგრამ არ ღირს.

არ ღირს, რადგანაც დღეს იმ რეალობის წინაშე ვდგავართ, რომელმაც საკმაოდ სერიოზული არჩევანის წინაშე დაგვაყენა. არჩევანის, რომელიც უნდა გავაკეთოთ არა ორ ადამიანს, ან ორ პოლიტიკურ ლიდერს შორის, არამედ იმ მომავალს შორის, რომელსაც ეს ლიდერები გვპირდებიან.

უნდა გავაკეთოთ არჩევანი, მაგრამ ისე, რომ არ აღმოვჩნდეთ კიდევ ერთი „იზმის“ მდგომარეობაში.

ვერ გეტყვით რამდენად შესაძლებელია ეს, მაგრამ... ვცადოთ.

**გია გაბრიჭიძე**

მართალი სიტყვა

# აუცილებლად უნდა შევუერთდე ქართველი ხალხის ბრძოლას უკეთესი მომავლისთვის!

## LE MONDE ბიძინა ივანიშვილის უსტარს აქვეყნებს

**ფრანგული გავლენიანი გამოცემა Le Monde ბიძინა ივანიშვილის წერილს აქვეყნებს. წერილში ბიზნესმენი ქართულ პოლიტიკაში მოსვლის მიზეზებსა და სამომავლო გეგმებზე საუბრობს.**

**„ბიზნესმენად ჩამოყალიბებული ადამიანისთვის, რომელსაც პოლიტიკაში არანაირი გამოცდილება არ აქვს, ეს იოლი დებიუტი არ არის. მე საქართველოში პოლიტიკური მოძრაობის დაფუძნება იმიტომ გადავწყვიტე, რომ ძალიან შეშფოთებული ვარ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მთავრობის მცოცავი ავტორიტარიზმით. მისი აზროვნების სტილი და ქმედებები, რაც გამომდინარეობს პრინციპიდან „სახელმწიფო — ეს მე ვარ“, საქართველოს წონასწორობას უკარგავს და ჩემს ქვეყანას წარმატებული რეფორმირების უნარს უმუხრუჭებს“,** — წერს სტატიაში ივანიშვილი.

ბიზნესმენი წერს, რომ თუ საზოგადოება არ დაბალანსდება ოპოზიციურ ძალთა წყალობით, საქართველო იზოლაციისა და გალატაკებისკენ სვლას განაგრძობს.

**„თუკი უმრავლესობის პარტია კვლავ ძველებურად ჩაებღაუჭება ხელისუფლებას 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო, და კიდევ ერთი წლის შემდეგ დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებში, აუცილებელი რეფორმები დღის სინათლეს ვერ იხილავს და ქვეყანა განადგურდება პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობით. დამოუკიდებლობის ოცწლიანი უწესრიგო, ქაოსური პერიოდის შემდეგ, საქართველო ვერ მისცემს თავს კიდევ ერთი რევოლუციის უფლებას“,** — წერს ივანიშვილი და სწამს, რომ ქართველები მზად არიან რეალური პოლიტიკური დებატებისთვის. ბიზნესმენი აღნიშნავს, რომ დამამცირებელია, როდესაც ქვეყანაში მთავარი მედია საშუალებები ხელისუფლების ხელშია, ოპოზიციის ხმა კი ჩახშულია.

**„ეს არაჯანსაღი სიტუაცია სახელმწიფო მოხელეებში უპასუხისმგებლობის განცდას და სახელმწიფოს საქმეებში გაუმჭვირვალობას ბადებს. შედეგად ვიღებთ კორუფციას და ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას, რაც პირველ რიგში ქართველ ხალხს აზიანებს. მე ყოველთვის მაოცებდა ქართველებისთვის დამახასიათებელი სიყოჩაღე. სამეზობლო ჩვენ ყოველთვის შემოქმედ და საქმიან ადამიანებად აღგვიქვამდა“,** — წერს ივანიშვილი.



ბიზნესმენი „ვარდების რევოლუციას“ იხსენებს და ამბობს, რომ მიუხედავად იმ პირველი პოზიტიური ცვლილებებისა, რაც 2003 წლის „ვარდების რევოლუციას“ მოჰყვა, რომლის მიზანიც საქმიანი კლიმატის გაუმჯობესება და ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვა იყო, ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა მიზერულია: 2629 დოლარი 2010 წელს, ხოლო სომხეთი და აზერბაიჯანი ჩვენზე წინ არიან.

**„2008 წელს საქართველო ჩაება და დამარცხდა რუსეთის წინააღმდეგ ომში, რომლის თავიდან არიდებაც შეიძლებოდა. ეს დისფუნქციური სისტემის პირდაპირი შედეგი იყო, რომლის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ მთავრობაში გადაწყვეტილებების მიღების სისტემა არ არსებობს და ძალაუფლება მთლიანად ერთი კაცის ხელშია. ჩვენ დღემდე ამის შედეგებს ვიმკით: დაკარგული გვაქვს ტერიტორიის 20% და სავაჭრო კავშირები რუსეთთან გაყინულია, მაშინ როდესაც ის უმნიშვნელოვანესი ბაზარია ჩვენი პროდუქციისა და მომსახურებისთვის, და იმავდროულად ჩვენი მოსაზღვრე სახელმწიფოა. ჩვენი ისტორიის ამ სამწუხარო ეპიზოდმა დააზიანა ასევე ჩვენი ურთიერთობები ჩვენს მნიშვნელოვან დასავლელ პარტნიორებთან, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ საქართველო უპასუხისმგებლოდ მართავდა თავის ურთიერთობებს რუსეთთან“,** — ნათქვამია სტატიაში და იქვე ივანიშვილი აღნიშნავს, რომ საქართველოს პოტენციალი ამაოდ იხარჯება.

**„მიუხედავად მთავრობის სერიოზული ძალისხმევისა ქვეყანა გარე სამყაროს თვალში ენერგიულ რეფორმატორულ სახელმწიფოდ წარმოაჩინოს. სააკაშვილის შეუწყნარებლობა ოპოზიციის მიმართ და ქვეყანაზე ტოტალური კონტროლის სურვილი აფერხებს ჩვენს ბუნებრივ დინამიკას და ხელს უშლის საქართველოს უკმაყოფილო მოქალაქეების პოლიტიკური გამოხატვის შესაძლებლობას, მათ შორის საჯარო სივრცეებშიც კი. ეს კი შიშის ატმოსფეროში ცხოვრებას გვაიძულებს. 2007 წლის ნოემბერში მიხეილ სააკაშვილის მიერ ანტისამთავრობო დემონსტრანტების სასტიკი დარბევა დავიწყებული არ არის და პირველად სწორედ ამან მიბიძგა უფრო კრიტიკულად აღმექვა დღევანდელი მთავრობა“,** — წერს ავტორი და სამომავლო გეგმებზე საუბრისას აღნიშნავს, რომ უპირველესი ამოცანაა, გამოიძებნოს ოპოზიციის გაძლიერების გზები და ჩატარდეს სამართლიანი და თავისუფალი არჩევნები, **„რათა ქართველებმა შეძლონ, თავად გააკეთონ არჩევანი საკუთარი ქვეყნის მომავალთან და პასუხისმგებელ ლიდერებთან დაკავშირებით. ეს მოითხოვს რეფორმებს, რომელიც ოპოზიციური პარტიებისთვის ნაციონალურ მედიას უფრო ხელმისაწვდომს გახდის, ასევე ცვლილებებს საარჩევნო კოდექსში, რათა ის უფრო სამართლიანი გახდეს“.**

ივანიშვილის საქართველოს ხელისუფლების მიერ მისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევასა და „ქართუ ბანკის“ დაჯავშნული ავტომანქანის დაკავების შესახებაც წერს და აღნიშნავს, რომ ეს ქმედება „ავლენს მათ უკიდურეს ნევროტულობას მოვლენების კონტროლთან დაკავშირებით“.

**„იმავდროულად დევნიან და აპატიმრებენ ჩემი ნათესავების ზოგიერთ მეგობარს და ჩემი თანამშრომლების ახლო ნათესავებს. ჩვეულ მანერაში, ხელისუფლების მიერ კონტროლირებადმა ტელეარხებმა ჩემზე თავდასხმების განხორციელება დაიწყეს იმ საბაბით, რომ მე რუსეთის ინტერესების გამტარებელი ვარ, მიუხედავად იმისა, რომ ეს ქვეყანა თითქმის ათი წლის წინათ დავტოვე. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე მე ვაპირებ რუსეთში დარჩენილი ყველა ჩემი კომერციული აქტივის რეალიზაციას“,** — აღნიშნავს ბიზნესმენი.

**„საქართველოს მთავრობის გადამეტებული რეაქცია იმაზე მიუთითებს, რომ ისინი კვლავ არასწორ გათვლას აკეთებენ და თავიანთ რეალურ სახეს აჩვენებენ. ვფიქრობ, ეს იმის ნიშანია, რომ მმართველმა პარტიამ იცის, რომ პარლამენტში მათი მანდატების კონტროლი სინამდვილეში არანაირად არ ასახავს მოსახლეობის რეალურ მხარდაჭერას. იმის გამო, რომ 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ჩემი იმედგაცრუება სულ უფრო იზრდებოდა, ქვეყნის დატოვებაზე ვფიქრობდი. მე გადავწყვიტე დარჩენა, რადგან საკუთარ მოვალეობად მივიჩნიე დავხმარებოდი საქართველოს, რათა ის სწორ გზაზე დადგეს. მოვლენებმა, რომელიც ჩემი განცხადების შემდეგ განვითარდა, ჩემი გადაწყვეტილების სისწორე დაადასტურა. როგორც ქართველს, მე არ მაქვს სხვა არჩევანი, უნდა შევუერთდე ჩვენს ბრძოლას უკეთესი და უფრო თავისუფალი მომავლისთვის“,** — ნათქვამია სტატიაში.

მრავალჟამიერ ჩვენს პატრიარქს!..

# და ჰა, იქუხა მრისხანებით სამების ზარმა!

## ანუ, „ამას ველოდი, მოვესწარ“...

(მესამე გვერდიდან)

ერთმაც და მეორემაც, როგორც დიდი კონსტანტინე გამსახურდია იტყოდა, „გველის კაჭრობა“ მოჰგვარა თავისუფლების ინსტიტუტის გველის წიწილებს...



და ასე იქნება ახლაც — მალე ვნახავთ თავისუფლების ინსტიტუტის მიერ ეკლესიის წიაღში ჩანერგილ მსტოვართა ფარულ თუ მის გარეთ აშკარად მოპარპაშე „ლიბერასტების“ დაუფარავ შეტევებს მისი უწმინდესობის მიმართ მისი (ეს მერამდენეძ, „პოლიტიკაში ჩარევის“ გამო. რომელთა განეიტრალებასაც, ვინძლო, ჩვენი, საზოგადოების მკვეთრი ქმედებები დასჭირდეს. ასე იქნება, რადგანაც გემის კაპიტნის და არჩევნების არ იყოს, პატრიარქის მხრიდან საკითხის ასე კატეგორიულად დასმა — „რა თქმა უნდა, უნდა იყოს“! შორს სცილდება ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის უზრალოდ აღდგენას, რადგანაც ეს საქართველოს ეკლესიისგან ივანიშვილის პოლიტიკურ მხარდაჭერადაც აღიქმება. რა თქმა უნდა მეუფე კალისტრატეს და მის მსგავსთა გამოკლებით.

ამიტომაც მგონია, რომ საქართველოს სულიერ მამას, მის უწმინდესობას, შეიძლება მრევლის, ხალხის, ერის მიერ დაცვა დასჭირდეს...

მანამდე კი დიდი მადლობა მინდა ვუთხრა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს იმისთვის, რაც თქვა. მადლობა გადავუხადო და თან ბოდიში მოვუხადო, შენდობა ვთხოვო იმ სულსწრაფი ხალხის სახელით (მათ მეც მივეკუთვნებიძ, რომელთაც მოთმინება არ ეყოთ და პატრიარქის აქამდე დუმილი მის საბოლოო პასიურობად ჩათვალეს ქართველი ერისთვის ამ საბედისწერო ჟამს!

ეტყობა, მართლაც ყველაფერს თავისი დრო და ჟამი აქვს. იქნება მართლაც ასე სჯობდა, რომ სამების ზარები მრისხანებით სწორედ 100 ათასი წმინდანის გმირობის დღეს დარისხებულიყო!

მრავალჟამიერ ჩვენს პატრიარქს, ხალხო, მრავალჟამიერ და უფრო მეტიც, პოლიქრონიონ...

**დავით მხეიძე**

ჩვენი პრესდაიჯესტი

# გუშინდელი გაზეთებიდან

### თვეში საშუალოდ 450 განქორწინება



საქართველოში ოფიციალურად საშუალოდ 450-მდე წყვილი ეყრება ყოველწლიურად. წინა წელთან შედარებით, განქორწინების შემთხვევათა საშუალოდ 10-პროცენტიანი მატება ფიქსირდება.

ოჯახის დანგრევის ძირითადი მიზეზებია ნარკოტიკი, ალკოჰოლიზმი და ოჯახური ძალადობა. ამ ყველაფერს კი მძიმე სოციალური ფონი იწვევს.

**„მთელი კვირა“**

### რას აშენებს ნიკა რურუას ძმა იპოდრომზე

ამ ყველაფერს თბილისის მერია მფარველობს, სხვანაირად წარმოუდგენელია შუაგულ ქალაქში ეს მშენებლობა დაწყებულიყო და 60-წლიანი ხეები მოეჭრათ.

იპოდრომის მნიშვნელოვან ნაწილს ფლობენ ის კომპანიები, სადაც წილი აქვს გიორგი რურუას — ნიკა რურუას ძმას.

**„ახალი თაობა“**

### გურამ პეტრიაშვილი: „ბიძინა ივანიშვილი ამ ნაგვებს გაიტანს“

ბიძინა ივანიშვილი არის კაცი, რომელმაც ბრძანა, მამაჩემის დანატოვარი ქვევრები მაქვს და იმ ქვევრში ვაყენებ ღვინოსო. მაგას ვენაცვალე. ღმერთმა გაამარჯვებინოს და განახორციელოს ის პროექტები, რომლებიც ქვეყანას ჭაობიდან ამოიყვანს.

**„ასავალ-დასავალი“**

### დიდი აჟიოტაჟი პენსიებთან დაკავშირებით

ეს არის სქემა, რომლის მიხედვითაც მოხდება პენსიონერების დაყოფა, ზოგი მიიღებს მომატებულ პენსიას და ზოგი — ვერა.

**„ქრონიკა“**

### რა წერილი მისწერეს ქართველმა მეცნიერებმა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ თურქებს

1942 წლის 25 აპრილს ივან ტიულენევი იოსებ სტალინმა მიიღო. შეხვედრას ლავრენტი ბერია, გიორგი მალენკოვი და გენშტაბის უფროსი ბორის შაპოშნიკოვი ესწრებოდნენ.

გადაწყდა ამიერკავკასიის ფრონტი უნდა გაძლიერებულიყო და მზად ყოფილიყვნენ თურქეთის ტერიტორიაზე შესასვლელად.

**„კვირის პალიტრა“**



# ვინ მტერია და ვინ მოყვარე?!

### „ყოვლისმცოდნე“ სააკაშვილი და „არმცოდნე“ ივანიშვილი

თავის დროზე ჯერ კიდევ ანტიკური აზროვნების ტიტანი სოკრატე თანამედროვეთაგან იმით გამოირჩეოდა, რომ თავმდაბლურად აცხადებდა — მე ის ვიცი, რომ არაფერი არ ვიციო. ჩვენი დროის „გენიოსებს“ — ქართველ ნაცმოელებს რატომღაც არ მოეწონათ ბერძენი ფილოსოფოსის მოკრძალებული ტონი და ის საპირისპიროთი — ჩვენ ის ვიცით, რომ ყველაფერი ვიცითო — შეცვალეს. ამიტომაც წაუვიდათ ალჩუზე საქმე, ამ „ყოვლისმცოდნე“, ბაქია და ჩიტირეკია ლიდერებმა მრავალსაუკუნოვანი კულტურისა და ფასეულობების მქონე ქვეყანა დანგრევის პირამდე მიიყვანეს.

პოლიტიკურ ველზე ახლად გამოჩენილი მოთამაშე — ბიძინა ივანიშვილი ამ ჩიტირეკიებისგან განსხვავებით, გულწრფელი და ალალმართალი კაცია. მას პრეტენზია არა აქვს სასწაულმოქმედ „ყოვლისმცოდნეობაზე“ და თუ რამე არ იცის, ამას ამბობს კიდეც. ქართულ სინამდვილეში ძლივს გამოჩნდა პიროვნება, რომელსაც არ ესირცხვილება რაიმეს არცოდნის. არადა ფაქტია, ადამიანი როცა ამბობს, რომ რაღაც არ იცის, სინამდვილეში ბევრად მეტი იცის იმაზე, ვისაც ჰგონია, რომ ყველაფერი იცის.

ავიღოთ, მაგალითად, სამართალი, რომელიც ნაცების წყალობით საქართველოში ნიველირებულია. ამიტომაც ბიძინა ივანიშვილი აცხადებს, რომ მის სამომავლო პროგრამაში დამოუკიდებელი სასამართლოს შექმნა ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია და როცა ჟურნალისტმა ჰკითხა, რა მექანიზმის ამოქმედებას აპირებთ საამისოდო, ივანიშვილმა უპასუხა: **„არ მაქვს მზა რეცეპტი, მაგრამ მაქვს პრინციპული პოზიცია, რომ სასამართლო დამოუკიდებელი უნდა იყოს. საქართველოში მრავლად არიან კვალიფიციური იურისტები. ზოგ მათგანს უკვე შევხვდი. თავს უფლებას არ მივცემ, რომ გადავწყვიტო, რა მექანიზმებით უნდა განხორციელდეს სასამართლოს დამოუკიდებლობა. შემოვიკრებ სპეციალისტებს და სწორედ ისინი მიიღებენ გადაწყვეტილებებს მექანიზმების შესახებ. მე არ მაქვს ამის ცოდნა, მაგრამ ვიცი როგორ მოვთხოვო მცოდნეებს და როგორ მივიღო საუკეთესო შედეგი “.**



გონივრული გამოსავალია. ჩვენ კი მთელი რვა წელიწადია, მივეჩვიეთ იმ „ჭეშმარიტებას“, რომ ქვეყანა ერთი კაცის, კერძოდ, სააკაშვილის აზრით, მისი ნეტარსურვილებითა და ხუშტურებით უნდა იმართოს, სხვა დანარჩენთა აზრი, მით უფრო კრიტიკული აზრი, არა თუ მიუღებელია, მტრობის ტოლფასიცაა. არადა კრიტიკა მხოლოდ უგუნურებს ეჩვენებათ მტრობად, გონიერი მას ითვალისწინებს და შეცდომებსაც ნაკლებად უშვებს. მე პირადად, როცა ვუსმენდი ბიძინა ივანიშვილის პრესკონფერენციას, დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ის გარშემომყოფთაგან სწორედ კრიტიკულ აზროვნებას მოითხოვს.

### „მოღალატე“ ივანიშვილი და „ერთგული“ ბენდუქიძე

ნაცებმა ეს იარლიყები „დამსახურებისამებრ“ მიაწებეს რუსეთში ნამოღვაწარ ბიზნესმენებს — ივანიშვილს და ბენდუქიძეს, რომელთაგან პირველს მეზობელ იმპერიაში ნაკეთები ფული სამშობლოში ღალატად და პუტინის მოკავშირეობად ჩაუთვალეს, მეორეს კი ქვეყნის ერთგულებად და ეკონომიკის ამყვავებლობად. რა კრიტერიუმების მიხედვით გამოუტანეს „განაჩენი“ ცნობილ ქველმოქმედსა და მეცენატს ბიძინა ივანიშვილს, დღემდე უცნობი და გაურკვეველია. ერთადერთი რაც ცნობილია, ის გახლავთ, რომ ივანიშვილი, რომელმაც კანონიერი და პატიოსანი გზით დიდი კაპიტალი დააგროვა რუსეთში, წლების მანძილზე ამ ფულს ახმარდა და ამჟამადაც ახმარს საქართველოს კეთილდღეობას, ეკლესია-მონასტრების მშენებლობა-რესტავრაციას, ცნობილ პიროვნებათა და სოციალურად გაჭირვებულთა ფიზიკურად გადარჩენას, სამაგლოდ ინახავდა მათაც, რომლებიც ახლა ხელისუფლების სათავეში სხედან და პოლიტიკურ ოპონენტს პუტინის „მეპროექტეობაში“ ედავებიან(!).

**ქართველ ნაცმოელებს ჭკუა არასდროს გადმოსდიოდათ, მაგრამ ის, რასაც ახლა სჩადიან, სისულელის პრეტენზიის ფარგლებსაც კი სცილდება. აბა ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, გერმანიაში ან საფრანგეთში, ბიზნესმენებს ბრალი წაუყენონ და სამშობლოს ღალატში დაადანაშაულონ იმის გამო, სხვა ქვეყანაში ფული რატომ იშოვეთ და ჩვენთან რატომ ხარჯავთო, თანაც ამდენ კეთილ საქმეს რომ აკეთებთ, ნამუსი აღარა გაქვთო?!.**

ეს არა, მაგრამ ქართველ ხელისუფალთა მხრივ აი ის კი დიდი უნამუსობა იყო, რუსული „ინდუსტრიის მშენებელი“, იქაური ფულით გაძეძგილი კახა ბენდუქიძე ჩვენთან სახელმწიფო მინისტრად რომ წამოასკუპეს (ანკი სკამმა როგორ გაუძლო!) და ქართველი „ეკონომიკის მამად“ მონათლეს. თუმცა იმით, რასაც ხალხი უნამუსობად აღიქვამს, ჩვენი პატივცემული ხელისუფლების მაღალჩინოსნები უკვე წლებია მთელ მსოფლიოში ტრაბახობენ. ეს გახლავთ ბენდუქიძის თამადობით ქვეყნად „წარმატებით“ განხორციელებული რეფორმები ეკონომიკაში, სოფლის მეურნეობაში, განათლებაში, სამედიცინო სისტემაში, რიგ სხვა დარგებში, აგრეთვე, სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია, ენერგეტიკული და სტრატეგიული ობიექტების სარფიან ფასებში გაყიდვა და კიდევ რა აღარ, რითაც ამ რეფორმების ავტორთა შემოსავლები ზღაპრულად გაიზარდა, ხალხს კი უკანასკნელი გროშებიც დააკარგვინა.

ამ ისტორიულ მიღწევათა ფონზე, ბატონ კახას ყველაზე დიდ ნაკლად ის უნდა ჩავუთვალოთ, რომ ვიდრე სკამზე იჯდა, ვერ მოასწრო გაზის მილსადენისა და რკინიგზის გაყიდვა, დაუმთავრებელი დატოვა ტყეების, ტბებისა და მდინარეების უცხოელებზე გასხვისება, რითაც დიდი ზიანი მიაყენა საკუთარ ხელისუფალთა ჯიბეებს. თუმცა რაც იშოვა, იმას კრუხივით მოაჯდა და ივანიშვილივით, რა თქმა უნდა, საქველმოქმედო იდეებს არ შესწირა. თუმცა, როგორც ახლა ირკვევა, თავის დროზე, რუსეთში მოღვაწეობის წლებში, ბენდუქიძეს დიდი ხელგაშლილობა გამოუჩენია და 1999 წელს პუტინის წინასაარჩევნო კამპანიაც კი დაუფინანსებია... ვერაფერს იტყვი, ბენდუქიძე მართლაც ერთგული კაცია, ოღონდ საქართველოსთვის თუ რუსეთისთვის, საკითხავი აი ეს არის!

### ჭკუადარიბი ნაცები და ჭკუამდიდარი ღარიბები

ალბათ მართალი ვიქნებით თუ ასეთი სიტყვებით გამოვხატავთ ხელისუფლების მხრიდან იმ ზღვარგადასულ უჭკუობას, რაც მან ჩაიდინა სამშობლოს კეთილდღეობაზე გადაგებული ბიძინა ივანიშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის აყრით და ბანკი „ქართუს“ გაუგონარი დაყაჩაღებით, რამაც ასევე გაუგონარი მარცხი მოუტანა ხელისუფლებას, ხოლო არნახული გამარჯვება — მის პოლიტიკურ ოპონენტს.

უკვე კვირაზე მეტია, ბიძინა ივანიშვილის ბანკ „ქართუსთან“ თბილისელების (და არა მარტო თბილისელების) უწყვეტი რიგია. აქ შეხვდებით როგორც პენსიონერებსა და ხანდაზმულ ადამიანებს, ისე ახალგაზრდებსაც, რომლებიც ერთი ხელით ხელს აწერენ ივანიშვილისთვის უსინდისოდ ჩამორთმეულ საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის მოთხოვნას, ხოლო მეორე ხელით — ხსნიან საბანკო ანაბარს. **ეს უპრეცედენტო შემთხვევაა ბანკების პრაქტიკაში, როცა ანაბრის გასახსნელად რიგი დგას. ეს არ გახლავთ, რა თქმა უდა, ჩვეულებრივი რიგი, ეს არის იმ ადამიანთა სოლიდარობის გამოხატულება, რომლებიც აქ უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის სურვილმა მოიყვანა. და არც ანაბარია ჩვეულებრივი, ის სოლიდარობის ანაბარია, რომელიც ბანკისთვის ფინანსურად თითქმის არაფრის მთქმელია (თითოეულს ათი, ხუთი, ზოგსაც ერთი ლარი შეაქვს), მაგრამ პოლიტიკური ლიდერისთვის ხალხის დიდი თანალმობისა და თანადგომის მაუწყებელია.**

მოხდა საოცრება, ხელისუფლებამ თავისი უჭკუობით მოახერხა იმდენი, რომ ხალხი, რომელსაც ივანიშვილი წლობის მანძილზე უწევდა მატერიალურ და სულიერ დახმარებას, ახლა ის ხალხი ფულით იქით „ეხმარება“ მილიარდერს. დაიბადა სასწაული სოლიდარობა, რომელიც ხალხმა ხელისუფლებისა და ოპოზიციის უნიათობითა და უხერხემლობით დაკარგა, ამჯერად მან უკანვე დაიბრუნა. ხელისუფლება საკუთარი ჭკუასუსტობით იმკის ამ სასწაულს.



**ოთარ ხუციშვილი**

## ინფორმაცია

### უმუშევრობა — ქვეყნის ნომერ პირველი პრობლემა

**მოსახლეობის 62%-ს „სამუშაო“ ქვეყნის ნომერ პირველ პრობლემად მიაჩნია, ხოლო 72%-ს ნომერ პირველ ადგილობრივ პრობლემად, — ეს შედეგები ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ 2011 წლის სექტემბერში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა.**

**კითხვაზე, შეიცვალა თუ არა ამ მიმართულებით მდგომარეობა საქართველოში, 33%-მა უპასუხა, რომ მდგომარეობა გაუარესდა, ხოლო 40%-ს მიაჩნია, რომ ამ კუთხით მდგომარეობა საერთოდ არ შეცვლილა.**

**„ეს მონაცემები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ უმუშევრობა საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი პრობლემაა. უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხულთა 50%-ს მიაჩნია, რომ მდგომარეობა გაუარესდა საზოგადოებაში სიღარიბის დონის თვალსაზრისითაც“, — ნათქვამია ანგარიშში.**

ინტერპრესი

**პრეზიდენტმა თქვა...**

# გაქცეული კაპიტალი ავლაბრის სასახლეში!

**...ჩვენ ახლა უნდა ვიდგეთ დიდი ბადით საქართველოს საზღვრებთან და დავიჭიროთ სხვადასხვა ქვეყნებიდან გამოქცეული კაპიტალი...**

**...სამეზობლოში შექმნილია ისეთი ვითარება, როდესაც სხვადასხვა ქვეყნებს ინვესტორები ტოვებენ და ამ სიტუაციით საქართველომ უნდა ისარგებლოს...**

**...ვერც ერთი ქვეყანა ახლოს ვერ მოვა საქართველოსთან საინვესტიციო ფონით, კორუფციის არქონით, უსაფრთხოების უმაღლესი დონით. ეს არის ზუსტად ის მომენტი, როცა სხვა ქვეყნიდან კაპიტალი გარბის და საქართველოს აქვს შანსი, პირიქით, თავისი ეკონომიკური პოტენციალი გაზარდოს ამ გაქცეული კაპიტალის ხარჯზე...**

წლეულს, ხუთ ნოემბერს ამ სიტყვებით დამოძღვრა საქართველოს პრეზიდენტმა ავლაბრის რეზიდენციაში შეკრებილი საპარლამენტო ნაციონალური უმრავლესობის წევრები. მის ამ გამოსვლაში რამე არც ახალია და არც ორიგინალური. წარმოიდგინეთ, არც გიგი უგულავას გენიალური „აფუნქციონერდა“ გაუმეორებია და არც საკუთარი „ჩამოიშალა“. კაცმა რომ თქვას, ეს არის არაფრისმთქმელი სიტყვების უწესრიგო კონგლომერატი, მაგრამ მაინც ძალიან საინტერესოა — მისი ავტორი ხომ საქართველოს პრეზიდენტია!

**...ჩვენ ახლა უნდა ვიდგეთ დიდი ბადით საქართველოს საზღვრებთან და დავიჭიროთ სხვადასხვა ქვეყნებიდან გამოქცეული კაპიტალი...**

ამ წინადადებაში, უპირველეს ყოვლისა, გაუგებარია, უკვე უნდა ვიდგეთ საქართველოს საზღვრებთან ბადით ხელში, თუ იქ უახლოეს მომავალში უნდა დავდგეთ. გამოთქმა „სხვადასხვა ქვეყნებიდან“ უხეში გრამატიკული შეცდომაა. უნდა იყოს ან „სხვადასხვა ქვეყნიდან“ ან „სხვა ქვეყნებიდან“. ქართულ ენაში ზმნისწინი „გამო“ იხმარება მოქმედების მიმართულების აღსანიშნავად იქიდან აქეთ. როცა პრეზიდენტი ამბობს, სხვადასხვა ქვეყნებიდან კაპიტალი გამოიქცაო, ეს ნიშნავს, რომ ეს „გამოქცეული კაპიტალი“ ჩვენსკენ, საქართველოსკენ მოემართება. მოგეხსენებათ, კაპიტალი არ არის გადამფრენი ფრინველების გუნდი, უხსოვარ დროს არჩეულ მარშრუტს რომ არ ღალატობდეს და მისთვის ბადით ხელში ჩასაფრება შესაძლებელი იყოს. კაპიტალი მიდის იქ, სადაც თავს უფრო კომფორტულად იგრძნობს. ამ კომფორტისთვის (უსაფრთხოება, სახელმწიფოს მხრიდან ჩაურევლობა, დაბალი გადასახადები, იაფი მუშახელი...) სამწუხაროდ, საკმარისი არ არის მხოლოდ მრავალჯერ გამეორებული „შიშველი“ განცხადებები.

**...სამეზობლოში შექმნილია ისეთი ვითარება, როდესაც სხვადასხვა ქვეყნებს ინვესტორები ტოვებენ და ამ სიტუაციით საქართველომ უნდა ისარგებლოს...**

მოდი, ახლა ნუღარ გავიმეორებთ **„სხვადასხვა ქვეყნებს“**. იმასაც ნუ ვიტყვით, რომ ფრანგული სიტყვა „stuation“ ქართული **„ვითარების“** შესატყვისია. ის ვივარაუდოთ, რომელ ქვეყნებს უნდა გულისხმობდეს ბატონი პრეზიდენტი **„სამეზობლოში“**.

მაშ ასე, საქართველოს სამეზობლოში, ანუ პრეზიდენტის ტერმინოლოგიით, „სხვადასხვა ქვეყნებში“, შედიან რუსეთი, თურქეთი, ირანი, სომხეთი და აზერბაიჯანი. შეგნებულად არაფერს ვამბობ ჩრდილოკავკასიურ ქვეყნებზე, რომლებიც ადმინისტრაციულად რუსეთის შემადგენლობაში შედიან.

საქართველოს ხელისუფლების მტკიცე რწმენით, აგრესორი, ოკუპანტი და სისხლისმსმელი რუსეთის ინვესტიციების საქართველოში შემოსვლა მომაკვდინებელი ცოდვაა. ამის გარდა, მსოფლიოს უმდიდრესი სახელმწიფოები თვითონ ცდილობენ თვალუწვდენელ და ამოუწურავი ბუნებრივი რესურსების მქონე რუსეთში კაპიტალის დაბანდებას. თურქეთიდან ინვესტიციები არსად არ „გარბის“. ნავთობით მდიდარ და ეკონომიკურად ზღაპრული ამირანივით მზარდ აზერბაიჯანში ინვესტიციების ჩადებაზე უარს არც ერთი ჭკუათმყოფელი არ იტყვის. დარჩა სომხეთი, რომლის საზღვართან პრემიერი გილაური, ეკონომიკის მინისტრი ქობალია და ფინანსთა მინისტრი გვინდაძე დიდი ბადით ხელში უნდა ჩასაფრდნენ და ინვესტიციების გადაფრენას დაელოდნონ.

საქართველოს პრეზიდენტმა უკვე ბევრჯერ აგდებულად მოიხსენია ჩვენი ტკბილ-მწარე უახლოესი მეზობელი. სომხეთის სახელმწიფოსთვის, მისი მთავრობისთვის, სომეხი ხალხისთვის განსაკუთრებით საწყენი ის აღმოჩნდა, სააკაშვილმა რომ თქვა, სომხეთ-საქართველოს საზღვართან მომხდარი სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციას ჩვენ გაცილებით უფრო სწრაფად მოვახერხებდითო.

საბოლოოდ, სააკაშვილის „სხვადასხვა ქვეყნები“ რუსეთის მეგობარი სომხეთია, რომელთან უაზრო ქიშპობითაც საქართველოს პრეზიდენტს ქართველი ამომრჩევლებისთვის საკუთარი ყოვლისშემძლეობის დამტკიცება სურს.

**...ვერც ერთი ქვეყანა ახლოს ვერ მოვა საქართველოსთან საინვესტიციო ფონით, კორუფციის არქონით, უსაფრთხოების უმაღლესი დონით. ეს არის ზუსტად ის მომენტი, როცა სხვა ქვეყნიდან კაპიტალი გარბის და საქართველოს აქვს შანსი, პირიქით, თავისი ეკონომიკური პოტენციალი გაზარდოს ამ გაქცეული კაპიტალის ხარჯზე...**

ბუნებრივია, სააკაშვილის „ვერც ერთ ქვეყანაში“ ისევ სომხეთი უნდა ვიგულისხმოთ. უფრო ზუსტად, ჩვენ კი არ უნდა ვიგულისხმოთ, ამას პრეზიდენტი გულისხმობს და მეტი დამაჯერებლობისთვის თავის ნათქვამს ხახვის ფურცლებით ფუთავს — ყველაფერი რომ კარგად გამოჩნდეს და ვინმე ჭკუასუსტ ოპოზიციონერს ლიბია ან იემენი არ გაახსენდეს.

ამ წინადადებიდან აშკარად ჩანს, რომ პრეზიდენტმა არ იცის, რას ნიშნავს ტერმინი „კორუფცია“ (სახელმწიფო მოხელეთა მექრთამეობაძ, ან ის არ იცის, რომ საქართველოში უსასტიკესი კორუფცია მძვინვარებს. პრეზიდენტმა არ იცის, რომ საქართველოში ბიზნესი ტერორიზებულია, ან იცის, მაგრამ გულუბრყვილო ევროპელების გაცუცურაკებას ცდილობს. პრეზიდენტმა არ იცის, რომ ციხეში საქართველოში ვერაგულად შემოტყუებული ებრაელი ბიზნესმენები უზის, ხოლო საქართველოდან გაქცეული ბიზნესმენები თითქმის მთელ მსოფლიოს არიან მოდებული. ანუ პრეზიდენტმა შესანიშნავად იცის, რომ საქართველოში არავითარი „ფონი“ და არავითარი „დონე“ არ არსებობს.

**ეს არის ზუსტად ის მომენტი, როცა სხვა ქვეყნიდან კაპიტალი გარბის და საქართველოს აქვს შანსი, პირიქით, თავისი ეკონომიკური პოტენციალი გაზარდოს ამ გაქცეული კაპიტალის ხარჯზეო,** — რიხიანად ცრუობს საქართველოს პრეზიდენტი. და ცრუობს სავსებით შეგნებულად, იმ მიზნით, რომ ამ სიცრუეს უკვეხვალ კიდევ უფრო დიდი სიცრუე დაუმატოს: აი, თქვენი თვალით ნახეთ, ჩემმა ყოჩაღმა მინისტრებმა სომხეთიდან გაქცეული მილიარდიანი ინვესტიციები დაიჭირეს!

აქ მოხმობილი პატარა ციტატებიდან შესანიშნავად ჩანს, რომ სააკაშვილი ძალიან გულუბრყვილო კაცია — დარწმუნებულია, რომ მას თანამოქალაქეები დაუჯერებენ და მისი ნათქვამიდან დასკვნებს ვერ გამოიტანენ. უპირველეს ყოვლისა, ამას ხელს უწყობს მისი უახლოესი გარემოცვა, რომელიც უმოწყალოდ სარგებლობს ექსცენტრული პრეზიდენტის გულუბრყვილობით და მას უეჭველი პოლიტიკური კრახისკენ მიაქანებს.

**მიხეილ დარახველიძე**

**დავა და სამართალი**

# „თვალახვეული ქალბატონი“ საინვესტიციო გარემოსთვისაც უნდა ირჯებოდეს...

**იმის გასაგებად, თუ როგორი იყო ამა თუ იმ ქალაქში ან სახელმწიფოში ცხოვრება უწინ, უჭირდა თუ ულხინდა ხალხს, უცხო მგზავრი თუ ვაჭარი, უწინარესად, მარილის იქაური ფასით ინტერესდებოდა. თუ იგი დაბალი იყო, მაშასადამე სხვა ყველაფერიც იაფი იყო, მაშასადამე ხალხს ცხოვრება არ უჭირდა, სიმშვიდე სუფევდა და „სამართალიც პურს ჭამდა“, ხოლო როცა ქვეყნად სამართალს დღისით-მზისით სანთლით ძებნა არ უნდა, ხალხიც მშვიდად ცხოვრობს და შრომობს.**

გულდამშვიდებით შრომის შესაძლებლობა, თანამედროვე ენაზე რომ გადმოვიყვანოთ, ეს მეწარმეთათვის ხელსაყრელი ბიზნეს-გარემოს შექმნასა და კომფორტულ ვითარებას, ასევე ნეიტრალურ სამართლებრივ სივრცეში არსებობას გულისხმობს. არ იქნება, ალბათ, მართებული ვიფიქროთ, რომ ნებისმიერი დონის სასამართლოში აბსოლუტურად ყველა საჩივრის გარჩევა ასპროცენტიანად შეუცდომელი იქნება, მაგრამ რაღაც გარკვეული თანაფარდობა ნამდვილად უნდა არსებობდეს. ამის თქმის საფუძველს ის გარემოება გვაძლევს, რომ როცა ფისკალური ორგანო ამა თუ იმ მეწარმეს ამოწმებს, მისი თანამშრომლები, წესით და რიგით, მარტო კანონის დებულებებით უნდა ხელმძღვანელობდნენ, რომელიც მისი განმარტების მეორე ინტერპრეტირების საშუალებას არ უნდა იძლეოდეს. სამწუხაროდ, მცდელობის მიუხედავად, საგადასახადო კოდექსის არაერთი დებულება ისეა ჩამოყალიბებული, რომ ზოგჯერ მისი „თავისუფალი“ გამოყენების საშუალებას იძლევა, შედეგად მეწარმესა და ფისკალური ორგანოს შორის ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშვება, რომლის გადაჭრა უკვე სასამართლოს პრეროგატივაა.

მაშ ასე, წარმოიშვა დავა და მეწარმემ სასამართლოს მიმართა. აი, მერეა საქმე, რა იქნება სარჩელის განხილვის შედეგი. ბევრი რომ არ ვილაპარაკოთ, არსებული ვითარების დასახასიათებლად მხოლოდ რამდენიმე ციფრს მოვიყვანთ: **თბილისის საოლქო სასამართლოს მონაცემებით, შარშან წლის მანძილზე სუბიექტთა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით განხილული დაახლოებით 7300 სისხლის სამართლის საქმიდან სასამართლომ მოსარჩელეთა, ანუ მეწარმეთა გამმართლებელი გადაწყვეტილება... სამად-სამ საქმეზე გამოიტანა (?!). ამ „წარმატებული“ მუშაობის შედეგი სასამართლოს „სასარგებლოდ“ 99,99 პროცენტით 0,01 პროცენტზეა, რასაც, დარწმუნებული ვართ, მსოფლიო ეკონომიკურ მართლმსაჯულებაში ანალოგი ძნელად თუ მოეძებნება.** არადა, ჩვენში დიდად ნაქებ-ნადიდები ხელსაყრელი ბიზნეს-გარემოს მეწარმეობისთვის კიდევ უფრო მიმზიდველად გასახდომად, ეკონომიკური ზრდის ასაჩქარებლად სასამართლოს მიუკერძოებლობას, მის ობიექტურობას ქვეყნის სამრეწველო განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ეს ერთ-ერთი იმ პარამეტრთაგანია, რომელსაც პოტენციური ინვესტორები ყურადღებას უწინარესად აქცევენ.



გვერწმუნეთ, სულაც არ არის საკმარისი ლაპარაკი ამის თაობაზე გაუთავებლად, მაგრამ ლოზუნგური გამოსვლების პათოსის საპირისპიროდ, საკუთრების უფლების დაცვის, სახელმწიფოს მხრიდან ფისკალური ძალადობის მოსპობის, კანონების სათანადო დონეზე შექმნისა და მათ ერთმნიშვნელოვნად წაკითხვის მხრივ ყველაფერი რიგზე ნამდვილად არ არის. სამეურნეო საქმიანობაში სახელმწიფოს გადამეტებულ ჩარევას ბიზნესმენები, ფაქტობრივად, საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების პირველივე წლებიდან უჩივიან, ოღონდ მაშინ წნეხი სხვანაირი იყო, მას აქცენტირებულად კორუფციული ხასიათი ჰქონდა. თქმა არ უნდა, ამ წნეხის კორუფციული მდგენელი ბოლო დროს, ფაქტობრივად, წულამდე კი შემცირდა, მაგრამ ტოტალური სახელმწიფოს ჩარევა და წნეხი დღითიდღე მატულობს. მართალია, ზოგიერთი ტელეარხით გამოსვლისას მეწარმეები „აღფრთოვანებასაც“ კი გამოთქვამენ ადგილებზე სამოქალაქო საგადასახადო ინსპექტორთა საქმიანობით, მაგრამ რეალობასთან ამას ისეთივე კავშირი აქვს, როგორც ცნობილ პოტიომკინის სოფლებს.

ისევ მასალის მთავარ თემას რომ დავუბრუნდეთ, ვიტყვით, რომ სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების სამართლიანად გადასაჭრელად საამისოდ ობიექტური და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ეფექტიანი მექანიზმი უნდა არსებობდეს. ამის მოთხოვნა იმითაა განპირობებული, რომ ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა საქმიანობაში, სამეურნეო თუ ეკონომიკურ ურთიერთობებშიც, რომლებიც სუბიექტებს შორის მუდმივად წარმოიშვება, დავები ამ კონტაქტების განუყრელი ელემენტია. განსაკუთრებულად დიდი მნიშვნელობა ამ დროს ბიზნეს-სუბიექტსა და სახელმწიფოს შორის წარმოშობილი დავებია, რომელთა სამართლიანად გადაჭრას უდიდესი როლის შესრულება შეუძლია ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის გაძლიერებაში. ეკონომიკის სისხლი ფული რომაა, ეს ყველას გვესმის, ამდენად ფინანსურ სახსრებს ნებისმიერი ბიზნეს-სუბიექტისთვის უპირველესი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ **ჩვენში ფისკალური ორგანოების „საქმე ისეა აწყობილი“, რომ დღესდღეობით უამრავი ისეთი ფირმა არსებობს, რომლის მეპატრონე კუთვნილი დამატებული გადასახადის უკან დაბრუნებას არც კი ფიქრობს, მით უმეტეს თავისი კანონიერად კუთვნილი თანხის სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე არ ცდილობს, რადგან არანაირი აზრი არა აქვს „ქარის წისქვილებთან ბრძოლას“.** ასევე უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ცხადია, ორ ბიზნეს-სუბიექტს შორის უშუალოდ წარმოშობილი დავების დროულად და სამართლიანად გადაწყვეტას და მართებული გადაწყვეტილების ეფექტიან აღსრულებას. აღნიშნული დავების გადაჭრაში ეფექტიანი სასამართლო რეგულირება მით უმეტეს დიდ დატვირთვას იძენს იმ პირობის გათვალისწინებით, რომ ფინანსთა სამინისტროს საბჭოსა და ფინანსურ ომბუდსმენს მხოლოდ სახელმწიფოსა და ბიზნეს-სუბიექტს შორის წარმოშობილ დავებში ჩარევა შეუძლიათ, ერთმანეთთან პრობლემური ურთიერთობები კი მეწარმე სუბიექტებმა სასამართლო გზით უნდა მოაგვარონ.

ამდენად, წინა პლანზე დამოუკიდებელი არბიტრაჟის ინსტიტუტის ძირეულად დამკვიდრება გამოდის, რადგან მისი რეალურად ამოქმედება, ექსპერტთა აზრით, ბიზნეს-გარემოს საგრძნობლად გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

**ოთარ ტურაბელიძე**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# „რეფორმები საქართველოს ალიანსში მიიყვანს“

**საქართველო არსებითად მიუახლოვდა ნატოს, მაგრამ მან უნდა განახორციელოს მთელი რიგი რეფორმები, რომ შეესაბამებოდეს ალიანსის სტანდარტებს, მიაჩნია ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ანდერს ფოგ რასმუსენს.**

როდესაც ნატოს საბჭოს სხდომის შემდეგ გამოდიოდა, სხდომა საქართველოს საკურორტო ქალაქ ბათუმში გაიმართა, რასმუსენმა განაცხადა, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი არ ამბობს უარს გადაწყვეტილებაზე, რომელიც მიიღეს 2008 წლის აპრილში ბუქარესტში. „ჩვენი გადაწყვეტილება ძალაშია – საქართველო გახდება ნატოს წევრი“, – განაცხადა გენერალურმა მდივანმა.

მაგრამ მან ასევე განაცხადა, რომ თბილისმა უნდა „გაიაროს გარკვეული გზა“ და მოუწოდა განახორციელონ რეფორმები საარჩევნო კანონმდებლობის, სიტყვის თავისუფლების სფეროებში და მიაღწიოს დამოუკიდებელ სასამართლო სისტემას.

საქართველოში ორდღიანი ვიზიტის მსვლელობის დროს ნატოს ხელმძღვანელი ასევე ამბობდა, რომ მომავალი პარლამენტის და პრეზიდენტის არჩევნები შეიძლება გახდნენ ქართული დემოკრატიის „ლაკმუსის ქაღალდი“.

„საქართველო მნიშვნელოვანია ნატოსთვის, და მე ვიცი, ნატოც მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, – თქვა რასმუსენმა. – ჩვენ უკვე ახლოს ვართ ერთმანეთთან, და გვინდა, რომ კიდევ უფრო ახლოს ვიყოთ“.

ჩრდილოატლანტიკური საბჭოს გენერალური მდივანი და დელეგაცია საქართველოში ჩამოვიდნენ საქართველოს მთავრობის მოწვევით ნატო-საქართველოს კომისიაში მონაწილეობის მისაღებად. ეს კომისია შეიქმნა მალე 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ.

ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ სხდომა საქართველოში უკვე მეორედ გამართა. პირველი ასეთი შეხვედრა გაიმართა 2008 წლის სექტემბერში.

ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ვიზიტს ნატოს სამიტამდე რამდენიმე თვით ადრე, რომელიც უნდა გაიმართოს ჩიკაგოში, თბილისში მიიჩნევენ მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენად.

მაგრამ საექსპერტო წრეებში ეშინიათ, რომ მიწვევას – გახდეს ალიანსის წევრი – საქართველო უახლოეს მომავალში, სულ ერთია, ვერ მიიღებს.

900-ზე მეტი ქართველი სამხედრო მოსამსახურე



ამჟამად ავღანეთშია, უშიშროების თანადგომის საერთაშორისო ძალების შემადგენლობაში. ამჟამად რიცხოვნობით ეს მეორე სამხედრო კონტინგენტია იმ ქვეყნებიდან, რომლებიც არ არიან ნატოს წევრები. ერთი წლის შემდეგ იგი პირველი გახდება.

ქვეყნის თავდაცვის მინისტრის ბაჩო ახალაიას სიტყვებით, საქართველო აპირებს ავღანეთში გაგზავნოს კიდევ ერთი ბატალიონი, თავისი კონტინგენტის რიცხოვნობა აიყვანოს 1500 კაცამდე.

ანდერს ფოგ რასმუსენი დარწმუნებულია, რომ ქართველი სამხედროების სამსახური ავღანეთში ეხმარება მათ იყვნენ უფრო მომზადებული სხვა მისიებში მონაწილეობისთვის ნატოს წევრი ქვეყნების კოლეგებთან ერთად. ეს კი არის საკვანძო საკითხი საქართველოს მომზადებისთვის ალიანსის წევრად.

მაგრამ თბილისში პრესკონფერენციაზე გამოსვლის დროს რასმუსენმა აღნიშნა, რომ არ არის პირდაპირი კავშირი ავღანეთში ოპერაციებში მონაწილეობასა და ნატოში საქართველოს მომავალ წევრობას შორის.

„ეს ერთ-ერთი ფაქტორია, მაგრამ არის მრავალი ელემენტი, რომლებიც უნდა შესრულდეს მანამ, ვიდრე წევრობა განხორციელდება“, – განაცხადა რასმუსენმა.

ოთხშაბათს თბილისში პრესკონფერენციაზე რასმუსენმა თქვა, რომ არც ერთ ქვეყანას ალიანსის გარეთ არ შეუძლია დაადოს ვეტო ნატოს გაფართოებაზე, ღია კარის პოლიტიკა ორგანიზაციისა არ არის მიმართული რუსეთის წინააღმდეგ.

მაგრამ ქართველ ექსპერტებს ეშინიათ, რომ რუსეთი არის სერიოზული დაბრკოლება საქართველოს ნატოში შესვლის გზაზე.

ქართველ ექსპერტებს ეშინიათ, რომ საქართველოს ნატოში შესვლის პერსპექტივა გახდა უფრო ბუნდოვანი, ვიდრე 2008 წლის ბუქარესტის სამიტამდე იყო.

უშიშროების პოლიტიკის საკითხების ექსპერტის ირაკლი სესიაშვილის სიტყვებით, საქართველოს ნატოში შესვლისთვის დაბრკოლება არის აგრეთვე „რუსეთის არაპირდაპირი გავლენა“.

„საქართველო არ აწარმოებს დიალოგს რუსეთთან, და ნატო სიფრთხილით ეკიდება საქართველოს ალიანსში შესვლას“, – მიაჩნია ექსპერტს.

BBC RUSSIAN.com

# სამხრეთ ოსეთმა მიიღო და ხელი მოაწერა

**13 ნოემბერს სამხრეთ ოსეთში გაიმართა პრეზიდენტის არჩევნები, რომლის შედეგებსაც პირველად იყო, რომ ვერ წინასწარმეტყველებდნენ გამოცდილი ექსპერტებიც კი. „ეგზიტპოლის“ მონაცემებით, გამარჯვებულს გამოავლენს მეორე წრე, რომელშიც გავიდნენ კრემლის კაცად აღიარებული ანატოლი ბიბილოვი და ალა ჯიოევა, რომელსაც „პროტესტულ კანდიდატად“ ასახელებენ.**

სამხრეთი ოსეთის საგანგებო სიტუაციების სამინისტროს ხელმძღვანელი ანატოლი ბიბილოვი კრემლის კაცად ითვლება. ამის მთავარ დადასტურებად ვლადიმერ პუტინის დეპეშას მიიჩნევენ, რომელიც მან გაუგზავნა ფორუმის მონაწილეებს კანდიდატის მხარდასაჭერად. დეპეშა წაიკითხა სახელმწიფო დუმის დეპუტატმა კონსტანტინ კოსაჩოვმა. მაგრამ ბატონი ბიბილოვის მოწინააღმდეგეებს ეჭვი შეეპარათ, რომ დეპეშა ნამდვილია. როგორც განათლების ექსმინისტრმა ალა ჯიოევამ განაცხადა, „პუტინს არ შეეძლო მხარი დაეჭირა ერთი კანდიდატისთვის და ჩარეულიყო სხვა სახელმწიფოს საქმეებში“. ინფორმაციისა და კავშირგაბმულობის სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელმა გიორგი კაბისოვმა კი ივარაუდა, რომ დეპეშის უკან სხვა პირები დგანანო – რესპუბლიკაში, როგორც წესი, ამ პირებად გულისხმობენ ჩინოვნიკს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან ვლადისლავ გასუმიანოვს, რომელიც სამხრეთ ოსეთს უწევს კურირებას. ცხარე დავებს დეპეშასთან დაკავშირებით განმარტავენ უბრალოდ: ელექტორატი სამხრეთ ოსეთში ტრადიციულად პრორუსულია, კანდიდატი კი, რომელმაც მიიღო მოსკოვის მხარდაჭერის დაპირება, შეუძლია დარწმუნებული იყოს ნაღდ გამარჯვებაში.

სამხრეთ ოსეთში არის მყარი აზრი, რომ რესპუბლიკა გახდა ურთიერთობათა გამორკვევის მოედანი კრემლის მიერ შერისხულ პოლიტტექნოლოგ მოდესტ კოლეროვსა და მის ყოფილ კოლეგა ვლადისლავ გასუმიანოვს შორის. ბატონი კოლეროვის გავლენის შესახებ წინასაარჩევნო კამპანიაზე კენჭისყრის წინ ჩვენს გაზეთს განუცხადა რუსეთის ფედერაციაში სამხრეთი ოსეთის ელჩმა დიმიტრი მედოევმაც. პოლიტტექნოლოგის დამსახურებად მიიჩნევენ პრეზიდენტ კოკოითის „უცნაურ საქციელსაც“.

იმის შესახებ, რომ სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელს არ სურს ანატოლი ბიბილოვის გამარჯვება, რესპუბლიკაში ბევრი საუბრობს. ამიტომ პრეზიდენტის დეკლარაციულმა მხარდაჭერამ კანდიდატისა ბევრი დააზნია. პარასკევს ედუარდ კოკოითმა განაცხადა, რომ ხმას მისცემს „ანატოლი ილიას ძე ბიბილოვს“. ოპოზიციური პარტიის „სამშობლოს“ ლიდერი ვიაჩესლავ გობოზოვი, რომელიც ბატონ ბიბილოვს უჭერდა მხარს, ამბობს, რომ ასეთი დეკლარაციულობა ზიანს აყენებს კანდიდატს: „ედუარდ კოკოითმა დაკარგა სამხრეთ ოსეთის ბევრ მცხოვრებთა ნდობა, ძალიან ძლიერია საპროტესტო განწყობილება, და ხალხი ხმას მისცემს ნებისმიერ კანდიდატს, ვინც ხელისუფლებასთან ახლოს არ არის. მისი ბიბილოვისთვის მხარდაჭერას შეიძლება რეიტინგული კილერობა ვუწოდოთ“.

ასეთ შეფასებას ეთანხმებიან ანატოლი ბიბილოვის შტაბისტებიც, რომლებიც თავში ხელს იცემენ პრეზიდენტის პოზიტიური განცხადების გამო მათი კანდიდატის მისამართით – მისი რეიტინგი ამის შემდეგ, როგორც წესი, ეცემა. ოპოზიციური პოლიტიკოსები ამტკიცებენ, რომ სწორედ ამ მიზეზით პრეზიდენტმა ერთხელაც არ დაასახელა თავისი მთავარი პიროვნების გიორგი კაბისოვის სახელი, რომელიც ამავე დროს მისი ნათესავიცაა. სამაგიეროდ, ბატონ კაბისოვს მხარი დაუჭირა ორმა პარტიამ, რომელიც პრეზიდენტის პარტიებად მიიჩნევიან: „სამართლიანმა ოსეთმა“ და „სახალხო პარტიამ“.

თუმცა თავად გიორგი კაბისოვმა ჩვენთან საუბარში თავის თავს „დამოუკიდებელი პოლიტიკოსი“ უწოდა.

ანატოლი ბიბილოვთან ბრძოლამ ხელი შეუწყო მის მოწინააღმდეგეს, სხვა კანდიდატს, რომელიც კამპანიის ფინიშზე რეიტინგში მეორე-მესამე ადგილს იკავებდა. ეს გახლავთ განათლების ექსმინისტრი ალა ჯიოევა, ოპოზიციონერი და პრეზიდენტ კოკოითის ოპონენტი. მან დაკარგა თავისი პოსტი და მას წაუყენეს სისხლის სამართლის მუხლი თანამდებობის ბოროტად გამოყენების შესახებ, შემდეგ კი მიიღო პირობითი ვადაც – ეს ყოველივე, მისი სიტყვებით, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი აკრიტიკებდა პრეზიდენტს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ერთადერთი ქალია – პრეტენდენტი პრეზიდენტის სავარძელზე სამხრეთ ოსეთის მთელი ისტორიის მანძილზე, მისთვის ხმის მისაცემად მზად იყვნენ მამაკაცები, რაც კავკასიის რესპუბლიკისთვის უნიკალური შემთხვევაა. თავისუფალ ჭიდაობაში რუსეთის ფედერაციის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ჯამბულათ თედეევმა, რომელსაც სამხრეთ ოსეთის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უარი უთხრა რეგისტრაციაზე, მხარი დაუჭირა ქალბატონ ჯიოევას, მას „ყველა კანდიდატიდან ერთადერთი მამაკაცი“ უწოდა. ქალბატონ ჯიოევას მხარდასაჭერად გამოვიდა თავდაცვის ექსმინისტრი ანატოლი ბარანკევიჩიც, რომელიც სამხრეთ ოსეთში უზარმაზარი ავტორიტეტით სარგებლობს. ამისთვის იგი ამ ცოტა ხნის წინათ ჩავიდა რესპუბლიკაში.



„ხალხი დაიღალა ნგრევისგან, სამი წელი გავიდა ომის შემდეგ, ოსეთი კი კვლავ ნანგრევებშია. მხოლოდ ჩინოვნიკები პარპაშობენ, – განაცხადა მან. – თუ ალა გაიმარჯვებს, ავიღებ ჩემოდანს და უმალვე ჩამოვალ აქ. მას ხომ უნდა დაეხმარო“.

ამ დროს კანდიდატების ნაწილმა უკვე „მოხსნა“ თავისი კანდიდატურა არჩევნებიდან (კენჭისყრის დღისთვის 17 კანდიდატიდან 11 დარჩაძ, თანაც ყველაზე ავტორიტეტულებმა – ანატოლი ბიბილოვის სასარგებლოდ. პარასკევს ბიბილოვის კანდიდატურას მხარი დაუჭირა ყველამ, ვინც უკანასკნელ წლებში იმყოფებოდა მკაცრ ოპოზიციაში ედუარდ კოკოითთან დაკავშირებით: ბიზნესმენმა ალბერტ ჯუსოევმა, „სახალხო პარტიის“ ლიდერმა როლანდ ქელეხსაევმა, სახლკარგადამწვარმა ინარა გაბარაევამ. „ალა ჯიოევა რომ არ ყოფილიყო, არჩევნები პირველსავე ტურში დამთავრდებოდა ბიბილოვის გამარჯვებით, ძალიან დამკვრელად მუშაობს მისი გუნდი, – განაცხადა ჯიოევის ერთ-ერთმა თანამებრძოლმა, – მაგრამ ქალბატონის მონაწილეობა ყველაფერს ცვლის“.

13 ნოემბერს უბნებზე ჟურნალისტების შეკითხვაზე: „ვის მიეცით ხმა“? ამომრჩევლები ძირითადად პასუხობდნენ: „არ გეტყვით“, ან „ეს საიდუმლოა“. მაგრამ ცხინვალის ერთ-ერთმა მცხოვრებმა ქალბატონმა აღიარა, რომ ხმა ჯიოევას მისცა. „იგი ქალია, იქნებ მის დროს მაინც რაიმე შეიცვალოს. ვცხოვრობთ, როგორც ომში“, – განმარტა მან.

მეორე ქალბატონმა კი გვიამბო, რომ ხუთსართულიანი სახლი, რომელშიც იგი ომამდე ცხოვრობდა, შუაზეა გახლეჩილი – ფასადიდან სახურავამდე უზარმაზარი ხვრელია. სახლი საცხოვრებლად უვარგისად მიიჩნიეს, მაგრამ მას სახურავი დაადგეს, შეარემონტეს მსუბუქად კედლები და გვთავაზობენ მასში შესახლებას. „აქ ჩვენთან ხდება მიწისძვრები, – ჩივის ქალბატონი. – სახლი შეიძლება დაინგრეს და ყველა თან ჩაგვიტანოს. მაგრამ ხელისუფლებას ჩვენთვის არა სცალია“. „თქვენ ვის მიეცით ხმა?“ – ვეკითხები მე. „ბიბილოვს“, – მიპასუხა ქალბატონმა. „რატომ?“ – „უხერხულია პუტინის წინაშე“.

Коммерсантъ

## დედამიწის ზურგზე



**მარიო მონტი იტალიის ახალი პრემიერ-მინისტრი გახდა**

ქვეყნის პრეზიდენტმა ჯორჯო ნაპოლიტანომ მანდატი რესპუბლიკის ახალი მინისტრთა საბჭოს ფორმირებისთვის გადასცა 68 წლის სენატორს. მონტის მთავრობას ექნება გარდამავალი ტექნიკური ხასიათი, მისი ძირითადი ამოცანაა – სასწრაფო ღონისძიებების განხორციელება ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოსაყვანად ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისად.

* * *

**ტერორისტ ბრეივიკის საქმის მორიგი მოსმენა გაიმართება ოსლოში ღია რეჟიმში**



ადრე პოლიცია აყენებდა წინადადებას, რომ სხდომაზე დაეშვათ მხოლოდ აკრედიტებული ჟურნალისტები და ისინი, ვისაც უშუალოდ შეეხო ტრაგედია. ეს იქნებოდა აუცილებელი, რათა ტერორისტს არ შეძლებოდა გასულიყო კონტაქტებზე თანამოაზრეებთან. მაგრამ სასამართლომ სხვაგვარად გადაწყვიტა.

* * *

**მედვედევმა, როდესაც აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის თავმჯდომარე გახდა, დაიწყო ტაჯიკეთის დაშინება და განაცხადა, რომ არ ესმის ამერიკელებისა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვასთან დაკავშირებით**




ჰავაიზე აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის სამიტის შედეგებთან დაკავშირებულ პრესკონფერენციაზე რუსეთის პრეზიდენტმა უარი განაცხადა აღიაროს ტაჯიკი არალეგალების გამოსახლება „კამპანიად“. მაგრამ „მეგობრებს დუშანბეში“ არაორაზროვნად გადაუკრა, რომ ისინი უნდა გაერკვნენ სიტუაციის „ოდიოზურობაში“ მფრინავებისთვის სასჯელის გამოტანასთან დაკავშირებით. იგი აგრეთვე განიხილავდა „პატიოსან არჩევნებს“ რუსეთის ფედერაციაში და მისცა შეფასება გადატვირთვას ამერიკის შეერთებულ შტატებთან, რასაც მეთვალყურეები უკვე ასაფლავებენ.

* * *

**ტაილანდში წყალდიდობისგან დაღუპულთა რაოდენობა უკვე 560 კაცს აჭარბებს, ევაკუირებულია ბანგკოკის კიდევ სამი რაიონი**

5 ივლისიდან, როდესაც ტაილანდის ჩრდილოეთს თავს დაატყდა ტროპიკული გრიგალი ნოგ-ტენი, სტიქიურმა უბედურებამ მოიცვა 63 პროვინცია, დაზარალდა 11 მილიონზე მეტი ადამიანი, დაახლოებით ერთმა მილიონმა მიმართა სამედიცინო დახმარებისთვის. თითქმის 250 ათასი კაცი უსახლკაროდ დარჩა. ზარალის მოცულობა 16 მილიარდ დოლარს შეადგენს.



## ნობელიანტები — 2011

# ვაი გაფართოებისაგან?..

**წლეულს ნობელის კომიტეტმა ისტორიაში სულ მეოთხედ მიანიჭა ფიზიკაში პრემია ასტრონომებს — სამყაროს გაფართოების აჩქარების აღმოჩენისათვის. ესენი არიან ამერიკელები სოლ პერლმუტერი ბერკლიში კალიფორნიის უნივერსიტეტიდან და ადამ რისი ბალტიმორაში ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტიდან, აგრეთვე ბრაიან შმიდტი ავსტრალიის ეროვნული უნივერსიტეტიდან.**


სოლ პერლმუტერი

ლთა — რამდენადაც ისინი, როგორც მინიმუმი, მეოთხედით უფრო მკრთალნი ყოფილან თეორიით ნაწინასწარმეტყველებზე. მეცნიერებმა ამგვარად როცა გათვალეს სამყაროს გაფართოების პარამეტრები, დაადგინეს, რომ ეს პროცესი აჩქარებით მიმდინარეობს. სხვანაირადაც შეიძლება თქმა — იკვლევენ იმას, თუ როგორ იცვლება მანძილთან ერთად, მანათობლობა ზეახალი ვარსკვლავებისა, რომელნიც თავიანთ ევოლუციას კატასტროფული აფეთქებით ამთავრებენ და სწორედ ასეთი ანალიზი იძლევა სამყაროს გაფართოების ინფორმაციას.


ბრაიან შმიდტი

უკვე დადის მწარე ხუმრობა — ფიზიკაში ნობელის პრემია სამყაროს დაღუპვის აღწერაში, ქვეყნიერების აღსასრულის წინასწარმეტყველებაში გაიცაო.

ერთ-ერთს სამეულიდან, შმიდტს როგორღაც უთქვამს — აღმოჩენა რომ გავაკეთე, არ დავიჯერე და დიდხანს ვცდილობდი შეცდომის მოძებნასო...

პრემიის ლომის წილის მფლობელი, ამერიკელი ასტროფიზიკოსი პერლმუტერი დაიბადა 1959 წელს, ილინოისის შტატის ქალაქ შამპეინში, მეცნიერი მუშაკთა ოჯახში. 1981-ში დაასრულა ჰარვარდის უნივერსიტეტი. იმისი დისერტაცია ეხებოდა ნემეზიდის როლის ობიექტ-კანდიდატთა გამჟღავნებას. ამჟამად ბერკლიში, ლოურენსის სახელობის ლაბორატორიაში რამდენიმე მნიშვნელოვან პროექტს ხელმძღვანელობს.

პერლმუტერი აშშ-ის ეროვნული აკადემიის, ამერიკის ხელოვნებისა და მეცნიერებათა აკადემიის წევრია. ბოლო ათწლეულში დაჯილდოვდა რამდენიმე პრესტიჟული სახელობითი პრემიით, აგრეთვე ალბერტ აინშტაინის მედლით (ადამ რისთან ერთად).

ავსტრალიელი ასტროფიზიკოსი, წარმოშობით ამერიკელი ბრაიან შმიდტი 1957 წელს მოევლინა ქვეყანას მონტანას შტატის ქალაქ მისულაში. ჰარვარდის უნივერსიტეტში ოთხწლიანი სწავლის შემდეგ (1989-1993) ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი მოიპოვა. ჰარვარდშივე შეხვდა მომავალ მეუღლეს, ავსტრალიის მოქალაქეს, რომელმაც მწვანე კონტინენტზე გადასახლებაზე დაიყოლია... ახლა კანბერაში, ავსტრალიის მაუნტსტრომლოს ობსერვატორიაში მუშაობს, სადაც მძლავრი ტელესკოპით სამხრეთ ნახევარსფეროს ზეცის გამოკვლევის პროექტს უძღვება. რამდენიმე პრესტიჟული ჯილდოს კავალერი, შოუს პრემიის ლაურეატიცაა (2006 წ. რაც საგულისხმოა, იმავე პერლმუტერთან და რისთან ერთად!..

ნობელის პრემიის მინიჭებას შმიდტი თურმე არაფრით არ ელოდა. „თავს დაახლოებით ისე ვგრძნობ, როგორც შვილების დაბადების დროს — მუხლებში სისუსტე და ბევრი გრძნობაო" — ამგვარი რეაგირებით შეხვედრია შვედეთიდან შეტყობინებას...

ადამ გაი რისი, ყველაზე ახალგაზრდა სამეულში, 1969 წელს ვაშინგტონში დაიბადა, ებრაულ ოჯახში. საგულისხმოა, რომ პაპა, კურტ რისი (1902-990), ცნობილი ჟურნალისტი, ლიტერატორი და სამხედრო კორესპონდენტი ყოფილა... მომავალმა ნობელიანტმა მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტი დაამთავრა. ისიც საგულისყუროა, რომ 1996-ში ჰარვარდის უნივერსიტეტში დაცული დისერტაცია Ia ტიპის ზეახალი ვარსკვლავების გამოკვლევას მიუძღვნა!.. 2005 წლიდან ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტში რისი მეთაურობს ჰაბლის ტელესკოპის დახმარებით დაშორებულ ზეახალთა აღმოჩენის პროგრამას. 2009 წლიდან აშშ-ის ეროვნული აკადემიის წევრია, არაერთი სახელობითი პრემიის ლაურეატია და ალბერტ აინშტაინის მედლის კავალერი.


ადამ რისი

პრემიის ოდენობა შეადგენს 1 მილიონ 400 ათას დოლარს. ნახევარს — 700 ათას დოლარს პერლმუტერი „მიითვლის", მეორე ნახევარს „ძმურად" გაიყოფენ რისი და შმიდტი.

ამ სამეულის აღმოჩენა თავის დროზე (1998 წელს) გამაოგნებელი და შემძვრელი გამოდგა როგორც კოსმოლოგთა, ისე ფიზიკოსთა წრეებისთვის. ჰქონდათ კიდევაც საამისო საბაბი — დროთა განმავლობაში თუ სამყარო ფართოვდება, ცარიელდება და ცივდება, ამაში სანუგეშოს რას უნდა ხედავდე...

აღმოჩენა კი გაკეთდა Ia ტიპის ზეახალ ვარსკვლავთა შესწავლის წყალობით, დედამიწიდან ძალიან დიდად დაშორებუ-

# ერთიმეორის შევსებით

**ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურეატთა ვინაობა შვედეთის სამეფო მეცნიერებათა აკადემიის საპრიზო კომიტეტმა გაახმიანა — ამერიკელმა სწავლულებმა თომას სარჯენტმა და ქრისტოფერ სიმსმა მაღალი ჯილდო ეკონომიკაში მიზეზებისა და მოლოდინის ემპირიული კვლევებისთვის დაიმსახურეს.**


თომას სარჯენტი

საგულისხმოა, რომ ორივე მეცნიერი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ეწეოდა მუშაობას და მოხდა ისე, რომ იმათმა წვლილმა ეკონომიკურ მეცნიერებაში ერთიანი რამ მთელი შეადგინა. სარჯენტისა და სიმსის შემუშავებული მეთოდები მაკროეკონომიკური ანალიზის განუყოფელ ინსტრუმენტებად იქცა.

აღნიშნავენ, რომ სარჯენტმა თვალნათლივ შეძლო სტრუქტურული მაკროეკონომიკური „გამოყენებითობის" დამტკიცება ეკონომიკურ პოლიტიკაში მუდმივი ცვლილებების ანალიზისას, სიმსს კი ეკუთვნის იმ „ვექტორული ავტორეგრესიის" მეთოდის დამუშავება, რომელიც გამოიყენება ეკონომიკურ პოლიტიკაში თვით ეკონომიკაზე დროითი ცვლილებების გავლენის ანალიზის დროს; თავად გამომგონებელმა ეს ხერხი მოიმარჯვა, კერძოდ, ცენტრალური ბანკის მხრივ ეკონომიკაში პროცენტული ფსონის ცვლილებათა გავლენის შეფასებისას.



ეგების ღირდეს მკითხველისთვის იმისი შეხსენება, რომ ოფიციალურად ეკონომიკაში პრემია არ ითვლება ნობელისად, რამდენადაც დიდი ქიმიკოს-ინჟინრის ანდერძში არ იყო მოხსენიებული და მხოლოდ 1968 წელს დააარსა შვედეთის სახელმწიფო ბანკმა; თუმცა ერთადერთი განსხვავება დანარჩენ პრემიათაგან — ფიზიოლოგიასა ან მედიცინაში, ფიზიკაში, ქიმიაში, ლიტერატურასა და მშვიდობის სფეროში — სწორედ ოფიციალურ დასახელებაშია. ეკონომიკაში პრემიაც დანარჩენებთან ერთად გადაიცემა სტოკჰოლმში. 10 დეკემბერს, დამაარსებლის გარდაცვალების დღეს და ნობელიანტთა ჯილდოს ეკვივალენტურ ფულად ჯილდოს გულისხმობს შვედეთის ბანკისაგან.

ამერიკელი ეკონომისტი თომას სარჯენტი 1943 წელს დაიბადა ქალაქ პასადენაში (აშშ, კალიფორნიის შტატი); 1964-ში ბერკლის უნივერსიტეტში მოიპოვა ბაკალავრის ხარისხი, 4 წლის შემდეგ ჰარვარდის უნივერსიტეტში — ფილოსოფიის დოქტორისა; ნამსახურევია აშშ-ის არმიაში; 1975-დან მინესოტის უნივერსიტეტის პროფესორია, ამასთანავე სხვადასხვა დროს მოღვაწეობდა ჰარვარდის, სტენფორდის, ჩიკაგოს, ნიუ-იორკის უნივერსიტეტებში, ჰუვერის ინსტიტუტში; არის აშშ-ის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და ამერიკის მეცნიერებათა და ხელოვნების აკადემიის წევრი; მიჩნეულია „ახალი" კლასიკური მაკროეკონომიკის ერთ-ერთ შემქმნელად.

ამერიკელი ეკონომისტი ქრისტეფორ სიმსი 1942 წელსაა დაბადებული ვაშინგტონში (აშშ); 1963-ში ბაკალავრის ხარისხს დაეუფლა ჰარვარდის კოლეჯში, ერთ წელიწადში — მაგისტრის ხარისხს ბერკლიში კალი-


ქრისტოფერ სიმსი

ფორნიის უნივერსიტეტში, კიდევ ოთხ წელიწადში — ეკონომიკის დოქტორის ხარისხს ჰარვარდის უნივერსიტეტში; პროფესორად ულვაწია მინესოტის, იელის, პრინსტონის უნივერსიტეტებში, მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში; 2003 წლიდან საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიწვეული მკვლევარია; ასევე წევრია აშშ-ის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და ამერიკის მეცნიერებათა და ხელოვნების აკადემიისა.

...სხვათა შორის, ამერიკელი ეკონომისტები ძალიან გაუშინაურდნენ ეკონომიკაში ნობელის პრემიას...

**პუბლიკაცია მოამზადეს ნათია თამარაშვილმა და თამაზ ებანოიძემ**

## გვეხმაურებიან

### უძველეს ქართული მუსიკალური რეფრენთა სათქმელი

**კაცობრიობის ისტორიაში განხორციელებულ ყველა გენიალურ აღმოჩენას ერთი და იგივე საფუძველი გააჩნია, რაც მსჯელობისა და დასკვნების თანმიმდევრობაში გამოიხატება. მეცნიერისთვის საჭირო ეს თვისებები კარგად ჩანს დოქტორ როლანდ ბურჭულაძის წერილში, რომელიც თქვენს გაზეთში გამოქვეყნდა.**

**ქართულ და აფხაზურ მუსიკალურ ფოლკლორში გაქვავებული ფორმით შემორჩენილი რეფრენების ერთი ჯგუფი (ოუ რადა ურაიდა რადა, ვასა რადა ვარადა, რაშოვ რადა ურაიდა რადა, ასავ რადა ვარადა) დღემდე ისე სრულდება, რომ უცნობია მათი სემანტიკური მნიშვნელობა. მათი გაშიფვრა ქართულ-კავკასიურ ენობრივ მონაცემებზე დაყრდნობით დღემდე ვერ მოხერხდა. ცნობილია, რომ რ.ბურჭულაძე უკვე დიდი ხანია, რაც წარმატებით მუშაობს ძველეგვიპტური და კოლხური ენობრივი ურთიერთობის საკითხებზე. მან გაარკვია, რომ ეს რეფრენები შორისდებულები კი არ ყოფილა, როგორც აქამდე იყო მიჩნეული, არამედ ძველი ეგვიპტური ენიდან მომდინარე სიტყვებია, რომლებიც დადასტურებულია ცნობილ ეგვიპტოლოგთა მიერ გამოქვეყნებულ ძველეგვიპტურ ტექსტებში (ჩვ.წ.აღ-მდე III ათასწლეული). მეცნიერი წარმოადგენს რეფრენის სიტყვა-სიტყვით თარგმანს. ირკვევა, რომ ეს ფრაგმენტი ეკუთვნის ამომავალი მზისადმი აღვლენილ ლოცვას.**

**დოქტორ რ.ბურჭულაძის მსჯელობა მკაცრ ლოგიკაზეა აგებული, თანმიმდევრულია აზრთა დენა და, შესაბამისად, დასკვნაც მისაღები. რეფრენთა შინაარსის ამოხსნა ძალზე მნიშვნელოვანია მომავალი სამეცნიერო კვლევებისთვის, მით უმეტეს, რომ საპირისპირო მოსაზრების შესახებ არ გვსმენია.**

**თეიმურაზ ქურდოვანიძე,**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

## ინფორმაცია

### მეორე ტური 27 ნოემბერს გაიმართება

**ე. წ. სამხრეთ ოსეთის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური 27 ნოემბერს გაიმართება.**

**მეორე ტურის ჩატარება დე ფაქტო კომისიის მიერ წინასწარი შედეგების გამოცხადების შემდეგ გადაწყდა. ამ მონაცემებით, პირველ ტურში ანატოლი ბიბილოვი 25,44%-ით ლიდერობს, მეორე ადგილზე კი 25,37%-ით ალა ჯიოევაა. მეორე ტურში სწორედ ისინი დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.**

**რუსული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადების შესახებ რეფერენდუმზე კი კითხვას დადებითი პასუხი 83,99%-მა გასცა, ხოლო ამომრჩევლების 16,1% ე.წ. სამხრეთ ოსეთში მეორე სახელმწიფო ენად რუსული ენის გამოცხადების წინააღმდეგია.**

ჯი-ეიჩ-ენი

### სამბო

# უხვი ნადავლით



პაექრობა ყაზახ იერბოლატ ბაიზბატიროვთან წააგო, ქორქოლიანი კი რუს არტემ ოსიპენკოსთან დამარცხდა. ბრინჯაოს მედლები ნიკოლოზ კუციას (82ძ და დავით ლორიაშვილს (+100ძ ერგოთ. ქართველმა სამბისტებმა გუნდური მესამე ადგილი დაიკავეს.

**ქართველი სამბისტები მსოფლიოს ჩემპიონატიდან, ტრადიციულად, მედლებით დახუნძლული დაბრუნდნენ. 52 კილოგრამ წონით კატეგორიაში ყველა მეტოქეს სძლია და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა ავთანდილ ცინცაძე, რომელიც მსგავსი შეჯიბრებების მრავალგზის პრიზიორია.** მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლები დათმეს და მეორე ადგილებს დასჯერდნენ მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი უშანგი კუზანაშვილი (57ძ და ლომერ ქორქოლიანი (100ძ. კუზანაშვილმა გადამწყვეტი

**ლექსო ცინცაძე**

### ძიუდო

# ოკეანეთსაც გადავწვდით



**შორეულ სამოაში დასრულდა ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ქართველთაგან ნუგზარ ტატალაშვილი (73ძ და ავთანდილ ჭრიკიშვილი (81ძ გამოდიოდნენ. ჩვენებურებმა თითო ორთაბრძოლა დათმეს და საბოლოოდ ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.**

### ძალოსნობა

# მაჭავარიანმა ისევ იყოჩაღა



**წლეულს ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატზე ქართველმა ძალოსანმა გია მაჭავარიანმა სამი ვერცხლის მედალი (ორჭიდში, ატაცსა და აკვრაშიძ მოიპოვა. პარიზში მსოფლიოს სალიცენზიო ჩემპიონატზე მაჭავარიანმა 187 კილგრამი აიტაცა და მცირე „ბრინჯაო“ ერგო, ხოლო აკვრაში 222-კილოგრამიანი შტანგა დაიმორჩილა, რაც მეექვსე შედეგი აღმოჩნდა, ორჭიდის ჯამში კი მე-4 – ბრინჯაოს მედალოსან ტოროხტის კილოთი ჩამორჩა. საპრიზო სამეული კი ასეთია: 1. ხაჯიმურატ აკაევი, 2. დმიტრი კლიკოვი (ორივე – რუსეთიძ, 3. ალექსეი ტოროხტი (უკრაინაძ.**

ამავე წონაში 376 კილოგრამით მე-17 ადგილი დავით გოგიამ დაიკავა. მძიმე წონაში ირაკლი თურმანიძე და ლაშა ტალახაძე, შესაბამისად, მე-12 და მე-20 ადგილებზე გავიდნენ, 85 კილოში რაულ ცირეკიძე მე-16 იყო, ხოლო 69 კილოში გიორგი ლომთაძემ აკვირაში საწყისი წონა ვერ დაძლია და უადგილოდ დარჩა.

### ფიგურული ციგურაობა

# ამჯერად – მეხუთეზე



**ერთი თვის წინათ მოციგურავეთა მსოფლიოს გრან პრიზე ელენე გედევანიშვილმა მე-7 ადგილი დაიკავა.** გასულ უქმეებზე მან ტოკიოში იასპარეზა. მოკლე პროგრამის შემდეგ მე-4 იყო, თავისუფალი პროგრამით კი 10 მონაწილეს შორის მე-6 ადგილი დაიკავა. საბოლოოდ მე-5 ადგილი ერგო, რაც ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად საკმარისი არ იქნება. ტურნირი იაპონელმა აკიკო სუძუკიმ მოიგო. მეორეზე მისი თანამემამულე, ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი მაო ასადა გავიდა, მესამე პრიზი რუს ალიონა ლეონოვას ერგო.

### ჭადრაკი

# ისევ კვარცხლბეკზე



**ბერძნულ პორტო კარასში დამთავრდა მოჭადრაკეთა ევროპის გუნდური ჩემპიონატი, რომელშიც 2009 წლის ვერცხლის პრიზიორმა საქართველოს ქალთა ნაკრებმა (ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი, ნაზი პაიკიძე, ნინო ხურციძე, სალომე მელია, კაპიტანი ნინო გურიელი, მწვრთნელები – ზურაბ სტურუა, თამაზ გელაშვილიძ მესამე ადგილი დაიკავა. ჩვენმა დიდოსტატებმა 14 ქულა მოაგროვეს, ანუ იმდენივე, რამდენიც პოლონეთის ნაკრებმა, მაგრამ მეტოქეს დამატებითი მაჩვენებლებით ჩამორჩნენ.** 18 შესაძლებლიდან 17 ქულით ჩემპიონობა ზედიზედ მესამედ რუსებმა (ნადეჟდა კოსინცევა, ტატიანა კორინცევა, ალექსანდრა კოსტენიუკი, ნატალია პოგონინა, ვალენტინა გუნინაძ მოიპოვეს.

ევროპის ჩემპიონატზე გუნდურთან ერთად დაფების მიხედვით პირველ-მესამე ადგილებზე გასული მოჭადრაკეებიც დაჯილდოვდნენ. პირველ დაფაზე ნანა ძაგნიძეს ბრინჯაო ხვდა (ოქრო და ვერცხლი სლოვენიელ ანა მუზიჩუკსა და უკრაინელ კატერინა ლახნოს ერგოთძ. ასევე მესამე იყო მეხუთე დაფაზე სალომე მელია, ნინო ხურციძემ კი მე-4 დაფაზე მეორე ადგილი დაიკავა – მხოლოდ ალექსანდრა კოსტენიუკს ჩამორჩა.

რაც შეეხებათ ვაჟებს, აქ საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. გერმანია, 2. აზერბაიჯანი, 3. სომხეთი. საქართველოს ნაკრებმა 10 ქულით მე-13 ადგილი დაიკავა. დაფების მიხედვით ჩვენებურთაგან საპრიზოზე არავინ გასულა.

### კალათბურთი

# მოჭარბებული ვნებანი

**სუპერლიგის V ტურში ერთბაშად იმდენი საინტერესო ამბავი მოხდა, საშუალო დონის კალმოსანი სათავგადასავლო ჟანრის კლასიკურ ნაწარმოებს გამოაცხობდა.**

კერძოდ, ზღვისპირულ დერბიში „ბათუმი“ – „სოხუმი“ სტუმართა უკანახაზელმა დიმიტრი ფაცაციამ თანაგუნდელ ლაშა ფარღალავას მიერ წინა უქმეებზე დამყარებული სეზონის შედეგიანობის რეკორდი გააუმჯობესა და თამასა 40 ქულამდე აწია. ბუნებრივია, ვაჟა კვარაცხელიას შეგირდებმა იოლი გამარჯვება მოიპოვეს – 88:64.



აღსანიშნავია თბილისის „დინამოს“ მიერ XXI ეროვნულ ჩემპიონატში პირველი შეხვედრის მოგება შინაგან საქმეთა სამინისტროს კლუბთან – 94:89. ძალოვანთა ახალ თავკაცს არჩილ ჟღენტს დებიუტი განსაკუთრებულად კენიონ კარტერმა ჩააშხამა – 27 ქულა.

ასევე პირველი თამაში წააგო სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს მფარველობით მოასპარეზე „ოლიმპმა“, თუმცა გათამაშების ერთ-ერთმა ლიდერმა დამარცხება მნიშვნელოვანწილად თავის წამყვან კალათბურთელს ლაშა გამყრელიძეს უნდა დააბრალოს, რომელიც ემოციებს აჰყვა და მსაჯებს თავი სარბიელიდან მეორე პერიოდში გააძევებინა. აქედან მოყოლებული, ქუთაისელებმა გარდატეხა შეიტანეს უიღბლოდ დაწყებულ ბრძოლაში – 1:13, თანდათან გამოასწორეს მდგომარეობა და მეოთხე წარმატებას მიაღწიეს – 75:64. სხვათა შორის, უდანაკარგოდ მატჩი ვერც რიონისპირელებმა დაასრულეს, თუმცა 5-5 პერსონალური შენიშვნის გამო სათადარიგოთა სკამზე გადანაცვლებული მათიაშვილის, ცეკვავასა და ბარბაქაძის მონაგარი მათი პარტნიორებისთვის საკმარისი აღმოჩნდა პრინციპული დუელის მოსაგებად.

თუმცა, ეს კიდევ არაა ყველაფერი – მთავარი წინ გელოდებათ. ქვეყნის მოქმედი ჩემპიონის „არმიისა“ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ტრილერს ვგულისხმობთ, რომელშიც მოვლენები უპრეცედენტოდ განვითარდა.

ვინაიდან კოტე ტუღუშის შეგირდებს დღეს სტამბოლში ევროჩელენჯის ჯგუფური რაუნდის II ტურის უმძიმესი მატჩი აქვთ გასამართი „ბეშიქთაშთან“, მათმა მწვრთნელმა დასვენების საშუალება მისცა ლეგიონერებს და თანამემამულეთა სასტარტო ხუთეული დაუპირისპირა მეტოქეს.

შეუფასებლობა ეგრე არ უნდაო და ვიცე-ჩემპიონმა პირველ მეოთხედში ბეჭებზე გააკრა ფავორიტის რეზერვი – 25:11. ასეთმა დასაწყისმა ტულუში აიძულა დამრტყმელი ძალა ჩაება ბრძოლაში და... სწორედ ამ დროს მოხდა ფაქტი, ტრიბუნებზე შეკრებილ გულშემატკივრებს პირი რომ დააღებინა. უფრო კონკრეტულნი თუ ვიქნებით, გუნდურ გაწევ-გამოწევას მსაჯების უცნაური გადაწყვეტილება მოჰყვა, რომელსაც თურმე დებულების სათანადო პუნქტი ითვალისწინებს და აქამდე მხოლოდ ერთხელ, ბავშვთა ლიგის შეხვედრაში გამოუყენებიათ. მათი ვერდიქტით, თამაში მხოლოდ იმ ხუთეულებს გააგრძელებინეს, რომელიც იმ მომენტში იყო სარბიელზე, ხოლო დანარჩენებს არა მარტო სათადარიგოთა სკამი, არამედ დარბაზიც დაატოვებინეს.

კრიტიკული ვითარების მიუხედავად, სტუდენტებმა გააგრძელეს უთანასწორო ბრძოლა მრისხანე მეტოქესთან და კარგა ხანს ინარჩუნებდნენ უპირატესობას. ძალამ აღმართი მხოლოდ მას შემდეგ მოხნა, რაც 5-5 საჯარიმოს გამო დასკვნით პერიოდში ერთმანეთის მიყოლებით გავარდნენ თამაშიდან კოხრეიძე, ნინიაშვილი, შერმადინი (მანამდე იგი ფიზიკური დატვირთვის გამო ცუდადაც გახდაძ და ბერიშვილი. საფინალო სასტვენამდე 7 წუთით ადრე, როცა არმიელები პირველად დაწინაურდნენ – 73:71, და მათ წინააღმდეგ მხოლოდ ფანჩულიძე დარჩა, შეხვედრა შეწყდა და თავდაცვის სამინისტროს გუნდს მორიგი გამარჯვება მიეკუთვნა.

„რუსთავი“ – „სამედიცინო“ 73:100.

### ფეხბურთი

# ძმობაც ასეთი უნდა



**როცა საქართველო-მოლდოვის ამხანაგური მატჩის მსაჯთა ბრიგადას გავეცანით, დავმშვიდდით – თუ გაგვიჭირდებოდა, ჩვენი აზერბაიჯანელი ძმები (ერთ-ერთი გვერდითი არბიტრის სახელი და გვარი, არც მეტი, არც ნაკლები, ილჰამ ალიევი იყოძ დაგვეხმარებოდნენ.**

მართალია, სტუმართა ექსპერიმენტული შემადგენლობის გამო ჩვენი ქვეყნის განახლებულმა ნაკრებმა უპრობლემოდ მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე (პირველი 29 მარტიდანძ – 2:0 (კობახიძე, ანანიძე – პენალტითძ, მაგრამ ჩვენმა მეზობლებმა, როცა საამისო შანსი მიეცათ, მაინც გაგვიწიეს თანადგომა. საკითხავია, ასეთი დათვური სამსახურის გაწევით „ჯვაროსანთა“ ოსტატობა და ფსიქოლოგიური მზადყოფნა რამდენად ამაღლებდა მომავალი შესარჩევი ციკლისთვის, სადაც მეტოქეობა ისეთ გრანდებს უნდა გავუწიოთ, როგორიც ესპანეთი და საფრანგეთია.

* * *

**წარმატებით გამოდის 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში საქართველოს ნაკრები.**

გიორგი დევდარიანის შეგირდებმა ჯერ პოლონელებს სძლიეს – 3:1 (პავლოვსკი – საკუთარ კარში, ჭანტურია, პარუნაშვილიძ, ხოლო შემდეგ მასპინძელ თურქებთან ითამაშეს ფრედ – 1:1 (სხირტლაძეძ.

დღეს ჭაბუკ „ჯვაროსანთა“ მეტოქე ჯგუფის აუტსაიდერი ლუქსემბურგია. თუ გავითვალისწინებთ, რომ შემდეგ ეტაპზე ორი საუკეთესო გუნდი ითამაშებს, ვიმედოვნებთ, ჩვენი თანამემამულენი ღირსეულად შეასრულებენ პროგრამა-მინიმუმს.

ძარცვა

# ჩინოვნიკებმა თბილისის პარკები მიისაკუთრეს!



ეკოლოგიური სამართლის ცენტრი ხელისუფლების ბიზნესინტერესებზე საუბრობს

**ეკოლოგიური სამართლის ცენტრის მტკიცებით, თბილისში არსებული პარკების ნაწილი თავის ფუნქციას ველარ შეინარჩუნებს და შესაძლოა ისინი ინვესტორების კომერციულ ინტერესებს შეეწირონ. თბილისის მერიის გადაწყვეტილებით, დედაქალაქში არსებული პარკები 49-წლიანი მართვის უფლებით კერძო ინვესტორებს გადაეცემათ. ამ ეტაპზე ბიზნესპროექტი 5 პარკზეა მომზადებული. მათგან წითელი ბაღი და მუშთაიდის ბაღი უკვე გადაეცა კომპანია „ჯეო-გოლდს“, რომელიც, ეკოლოგიური სამართლის ცენტრის მტკიცებით, თბილისის საკრებულოს წევრს ნაციონალური მოძრაობიდან ალექსანდრე ნიკოლაიშვილს ეკუთვნის. მათივე ინფორმაციით, უახლოეს მომავალში აღნიშნულ პარკებში სხვადასხვა ტიპის მშენებლობის დაწყება იგეგმება.**

ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ახლახან „ჯეო-გოლდთან“ გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება...

ეკოლოგიური სამართლის ცენტრში გამართული პრესკონფერენციის მთავარი მიზეზი თბილისის მერიის ერთი კონკრეტული გადაწყვეტილება გახდა: დედაქალაქში არსებული პარკები 49-წლიანი მართვის უფლებით კერძო ინვესტორებს გადაეცემათ. ეკოლოგიური სამართლის ცენტრის მტკიცებით, ბიზნესპროექტი ხუთ პარკზე — წითელ ბაღზე, ვეტერანთა პარკზე, ვარკეთილის გასართობ ცენტრზე, ვაკის პარკსა და მუშთაიდის ბაღზეა მომზადებული. მათგან წითელი ბაღი და მუშთაიდის ბაღი უკვე გადაეცა კომპანია „ჯეო-გოლდს“, რომლის მფლობელიც, ეკოლოგიური სამართლის ცენტრის მტკიცებით, თბილისის საკრებულოს ერთ-ერთი წევრი ნაციონალური მოძრაობიდან ალექსანდრე ნიკოლაიშვილია. ეკოლოგიური სამართლის ცენტრის იურისტი ნიკოლოზ მჟავანაძე ირწმუნება, რომ, აღნიშნული გადაწყვეტილებით, თბილისის პარკებსა და სკვერებში ქალაქის ხელისუფლების ბიზნესინტერესები იკვეთება:

„ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ახლახან „ჯეო-გოლდთან“ გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, პირდაპირი განკარგვის წესით, ანუ არავითარი კონკურსი არ ჩატარებულა, მუშთაიდის პარკი გადაეცა „ჯეო-გოლდს“, რომლის მფლობელიც არის ნაციონალური მოძრაობის აქტიური წევრი საკრებულოში ალექსანდრე ნიკოლაიშვილი“, — ამბობს ნიკოლოზ მჟავანაძე.

ნიკოლოზ მჟავანაძის თქმით, ხელშეკრულებას, რომელიც თბილისის მერიასა და „ჯეო-გოლდს“ შორის გაფორმდა, გრიფი „საიდუმლო“ ადევს და, შესაბამისად, ეკოლოგიური სამართლის ცენტრს არ ეძლევა იმის საშუალება, რომ კონტრაქტის დეტალებს გაეცნოს. რადიო თავისუფლება მთელი დღის განმავლობაში ცდილობდა საკრებულოს წევრ ალექსანდრე ნიკოლაიშვილთან გასაუბრებას, მაგრამ მასთან დაკავშირება ვერ მოხერხდა.

თუკი გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ პარკებში რაღაც უნდა აშენდეს, მიღებულია მიხეილ სააკაშვილისა და გიგი უგულავას მიერ, რა თქმა უნდა, საკრებულო ამას ვერ შეეწინააღმდეგება...

ხმაური თბილისში არსებული პარკების გარშემო ჯერ კიდევ ორი წლის წინათ, 2009 წლის შემოდგომაზე დაიწყო. მაშინ, თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით, თბილისის ტერიტორიაზე 40-მდე გამწვანებულ ტერიტორიას რეკრეაციული ზონის სტატუსი მოეხსნა. აქვე იმასაც გეტყვით, რომ 2009 წლის 27 მარტს, საკრებულოს დადგენილებით, თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად, რეკრეაციული ზონა 2-ის კატეგორიის ზონაში შესაძლებელი გახდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების, სასტუმროების, რესტორნების და სხვა მსგავსი ტიპის შენობა-ნაგებობების მშენებლობა. როგორც ეკოლოგიური სამართლის ცენტრში აცხადებენ, ეკოლოგიური საფრთხის თავიდან ასაცილებლად მათ მიმართეს თბილისის საკრებულოს თხოვნით, რომ საკრებულომ ცვლილება შეიტანოს საკუთარ გადაწყვეტილებაში და სარეკრეაციო ზონა 2-ის ტერიტორიაზე არ დაუშვას მსგავსი ტიპის ობიექტების მშენებლობა, თუმცა თბილისის საკრებულოს წევრი „თავისუფალი დემოკრატებიდან“ ზურაბ აბაშიძე რადიო თავისუფლებასთან საუბარში ირწმუნება, რომ თბილისის საკრებულო საკუთარ გადაწყვეტილებებში დამოუკიდებელი არ არის და ის მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლების მითითებით მოქმედებს. სწორედ ამიტომ, მას ნაკლებად აქვს იმის იმედი, რომ ეკოლოგიური სამართლის ცენტრის მიმართვას თბილისის საკრებულო გულისყურით მოეკიდება:

„თუკი გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ პარკებში რაღაც უნდა აშენდეს, მიღებულია მიხეილ სააკაშვილისა და გიგი უგულავას მიერ, რა თქმა უნდა, საკრებულო ამას ვერ შეეწინააღმდეგება“, — მიაჩნია ზურაბ აბაშიძეს.

გარემოს დამცველები მიიჩნევენ, რომ ბოლო წლებში თბილისში კატასტროფულად შემცირდა გამწვანების ზოლების, ბაღების, პარკებისა და სკვერების ფართობები. მწვანე ნარგავთა რაოდენობით თბილისი თითქმის ხუთჯერ ჩამოუვარდება ნორმატივებით გათვალისწინებულ მაჩვენებლებს. რეზო გეთიაშვილი „კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელის“ პროექტის კოორდინატორი, რადიო თავისუფლებასთან საუბარში ამბობს, რომ მერიისა და საკრებულოს გადაწყვეტილებები ქალაქში არსებულ რეკრეაციულ ზონებსა და გამწვანებას სერიოზულ საფრთხეს უქმნის:

„ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში თბილისი, ჰაერის მხრივ, ერთ-ერთი ყველაზე დაბინძურებული ქალაქი იყო. გარდა ამისა, არ იყო სახარბიელო მდგომარეობა გამწვანების კუთხითაც. საბჭოთა პერიოდის შემდეგ კი კიდევ უფრო უარესი და უარესი მდგომარეობაა. ამაზე მეტყველებს თუნდაც 2009 წელს მიღებული გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ათეულობით რეკრეაციული პარკი გაუქმდა“, — ამბობს რეზო გეთიაშვილი.

ეკოლოგიური სამართლის ცენტრი მოუწოდებს თბილისის მერიას, რომ არ გასცეს ნებართვა პარკებში ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისა თუ სასტუმრო-რესტორნების მშენებლობაზე. რადიო თავისუფლებამ აღნიშნულ საკითხზე კომენტარის მოძიება თბილისის მერიისაგან ამ დრომდე ვერ მოახერხა.

**ნინო თარხნიშვილი**

ინფორმაცია

## საქართველოში 16 ნოემბრამდე ყინვებია მოსალოდნელი

**სინოპტიკოსების** პროგნოზით, ხვალ აღმოსავლეთ საქართველოში გამოიდარებს და თოვა შეწყდება. 16 ნოემბრამდე კი, ღამით ყინვებია მოსალოდნელი. შემდეგ დღისით ტემპერატურა უმნიშვნელოდ მოიმატებს. ზოგადად, ცვალებადი ამინდები საქართველოში ნოემბრის ბოლომდე გაგრძელდება.

## მსოფლიოს ფინანსურ კონკურსზე სამყაროს 7 საოცრება დასახელდა

**შვეიცარიაში** გამართულ მსოფლიოს ფინანსურ კონკურსზე სამყაროს 7 საოცრება დასახელდა. კონკურსში მონაწილეობას 220 ქვეყნის წარმომადგენლები იღებდნენ.

ორგანიზატორებმა კონკურსის წინასწარი შედეგები უკვე გამოაცხადეს, თუმცა საბოლოოდ დაჯილდოება 2012 წლის დასაწყისში გაიმართება.

მსოფლიო 7 საოცრებად დასახელდა: ამაზონის ჯუნგლები, ბუხტა ხალონგი ვიეტნამში, იგუსაოს ჩანჩქერი არგენტინისა და ბრაზილიის საზღვრაზე,სამხრეთ კორეული კუნძული ჩედჟუ, ინდონეზიაში კომადოს ეროვნული ტყე-პარკი, მიწისქვეშა მდინარე პუეტრო პრინცესა ფილიპინებზე და სამხრეთ აფრიკაში სასადილო მთა.

ინტერპრესნიუსი



**მეუღლე მანანა გეჯაძე, შვილები თათია, შალვა, რძალი თათული გელაშვილი, სიძე კახა ლიპარტელიანი, შვილიშვილები ნუცა, ეკატერინე ხარებავები, დისწული ნინო გიორგაძე ოჯახით, მძახლები ნანა, მიხეილ გელაშვილები, ცოლისძმა ვასიკო, ცოლისდა ნანა გეჯაძეები ოჯახებით, დეიდაშვილები მედეა, მარინე მაისურაძეები, ნონა პაჭკორია ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**თემურ ხარებავა**

**პანაშვიდი 15, 16 XI, 16 სთ. მისამართი: ბადრი შოშიტაიშვილის (ყოფილი არაყიშვილის) ჩიხი, კორპუსი 8, ბ. 19. გამოსვენება 17 XI, 14 სთ. წმ. პანტელეიმონის ეკლესიიდან (ვერის სასაფლაო).**

**ნანა ხაზარაძე, გოგა, ნიკა ფიფიები ოჯახებით ულრმესი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღირსეული მამულიშვილი**

**გია მეგრელიშვილი**

**და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

გამოკვლევა

# სასიკვდილო თამაში პურის ყანაში

**მე-19 საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი მხატვრის, ჰოლანდიელი ვინსენტ ვან გოგის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი ახალი მასშტაბური გამოკვლევის ავტორებმა სტივენ ნაიფეჰმა და გრეგორი უაიტ სმიტმა ათი წელი მთარგმნელისა და მკვლევარის დახმარებით იმუშავეს. მანამდე გამოუქვეყნებელი დოკუმენტებისა და თვითმხილველთა მოწმობების შესწავლის შედეგად მხატვრის ახალი ბიოგრაფიის ავტორები ამტკიცებენ, რომ მან სიცოცხლე თვითმკვლელობით კი არ დაასრულა, როგორც ამას ბოლო დრომდე მიიჩნევდნენ, არამედ უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდა.**

წიგნის მონაცემთა ბაზაში გენიალური მხატვრის ცხოვრების სხვადასხვა ასპექტის ამსახველმა 28 ათასმა სხვადასხვა დოკუმენტმა მოიყარა თავი, მათ შორის მისმა წერილებმაც, რომლებიც მანამდე ინგლისურად თარგმნილი არ ყოფილა.

სიკვდილის წინ ვან გოგი ფრანგული ქალაქის ოვერ-სიურ-უაზის ერთ-ერთ სასტუმროში ცხოვრობდა. ქალაქის შემოგარენში პურის ყანები იყო, სადაც მხატვარი სახატავად ხშირად დადიოდა. ბოლო დრომდე ითვლებოდა, რომ ერთ-ერთი ასეთი გასეირნების დროს, 1890 წლის 29 ივლისს მან იარაღი დაიხალა და სასტუმროში დაბრუნების შემდეგ მიღებული ჭრილობისგან გარდაიცვალა. მაგრამ, სტივენ ნაიფეჰის თქმით, „სავსებით ნათელია, რომ პურის ყანაში გასეირნების მიზანი თვითმკვლელობა არ ყოფილა“.

**— ხალხს, ვინც მას იცნობდა, მიაჩნდა, რომ ვინსენტი ორმა ადგილობრივმა მოზარდმა შემთხვევით მოკლა, მაგრამ მან მათი დაცვა გადაწყვიტა და მომხდარი საკუთარ თავზე აიღო,** — ამბობს მკვლევარი.

ამ ვერსიას ზოგიერთი დოკუმენტიც მოწმობს, რომლის თანახმად ტყვია მუცლის ღრუში არა მართი, არამედ მახვილი კუთხით შევიდა, რაც თვითმკვლელობის შემთხვევებისთვის დამახასიათებელი არ არის.

ახალი ბიოგრაფიის ავტორის თქმით, 1930-იან წლებში მომხდარის მსგავსი ვერსია ცნობილმა ხელოვნებათმცოდნემ ჯონ რენვალდმა ჩაიწერა, რომელიც ოვერ-სიურ-უაზში ჩავიდა, სადაც ზოგიერთი მოწმობა მოიძია, რომლებიც უარყოფენ თვითმკვლელობის თეორიას.

— ცნობილი იყო, რომ დღის ამ მონაკვეთში ორი ყმაწვილი ხშირად დადიოდა ხოლმე ვან გოგთან



ღვინის დასალევად. ერთ მათგანს კოვბოის ჩაცმულობა და გაუმართავი იარაღი ჰქონდა, რომლითაც კოვბოიობანას თამაშობდა, — განაგრძობს სტივენ ნაიფეჰი. — სავარაუდოა, რომ ინციდენტის დროს სამივე ნასვამი იყო. ძნელი წარმოსადგენია, რომ მოზარდთაგან რომელიმეს მხატვრის მოკვლა უნდოდა. იმის გათვალისწინებით, რომ მათ პისტოლეტი ჰქონდათ, უფრო სარწმუნოა, რომ ვან გოგის მკვლელობა გაუფრთხილებლობას უნდა მივაწეროთ.

ამასთან, გრეგორი უაიტ სმიტი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ **ვან გოგი სიკვდილისკენ შეგნებით არ მიისწრაფოდა, მაგრამ მაშინ, როცა კი იგი მიაკითხავდა, ანდა როცა სიკვდილის შესაძლებლობა გაჩნდებოდა ხოლმე, იგი მას იღებდა. მისი თქმით, მხატვრის სიკვდილთან ერთგვარ გარიგებას იგი „თავისი ძმისადმი სიყვარულის აქტად აღიქვამდა, რომლისთვისაც იგი მძიმე ტვირთი იყო“.** საყოველთაოდაა ცნობილი, რომ თეო ვან გოგი ვინსენტს მუდამ ფულით ეხმარებოდა, რადგან მის სურათებს არავინ ყიდულობდა.

ასევე ცნობილი ფაქტია, რომ მხატვრის ოჯახი მის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში დაწვენას მანამდე დიდი ხნით ადრე ცდილობდა, ვიდრე ვინსენტი ამას ნებაყოფლობით დათანხმდებოდა. მას მამასთან, პროტესტანტ პასტორთან იმდენად დიდი უსიამოვნება ჰქონდა, რომ ოჯახის ზოგიერთი წევრი მამის სიკვდილში ადანაშაულებდა. **მხატვრის ავადმყოფობა, რომელსაც როგორც მანიაკალური სინდრომისა და დეპრესიის ნაზავს აღწერდნენ, ეპილეფსიით იყო გამოწვეული.**

გრეგორი უაიტ სმიტის თქმით, ახალი ბიოგრაფია ვინსენტ ვან გოგზე უკეთეს შთაბეჭდილებას ქმნის და მას „არამდგრად და სუსტ პიროვნებად აჩენს“, მაგრამ ამ ფონზე მისი შემოქმედება „კიდევ უფრო დიდ მიღწევად წარმოჩინდება“, მიაჩნია მწერალს.

**დალი ხუნდაძე**

◉ სარედაქციო ფოსტიდან

# ხუჯაბის მონასტერი უდავოდ საქართველოსია



**ვეხმაურები ბატონ გივი ჯახუას პუბლიკაციას ხუჯაბის მონასტრის თაობაზე (გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“, 9 ნოემბერი 2011 წელი) და ვიხსენებ 1990 წელს, როდესაც ქართველ სპეციალისტთა ცხრაკაციანი ჯგუფი ეწვია ხუჯაბის მონასტერს (იხილეთ ფოტო, რომელზეც მარცხნიდან მეოთხე მე, თქვენი მონა-მორჩილი გახლავართ).**

ბატონი გივის მონათხრობს დავუმატებდი, რომ ტერიტორია, სადაც მონასტერია, სრულიად უსამართლოდ და დაუსაბუთებლად სომხეთის საზღვრებშია მოქცეული. თანაც საზღვარი პირობითად პატარა ღელეს გასდევს. ეს ღელე წყალუხვობის დროს მიმართულებას იცვლის და როცა ამ „მოძრაობისას“ მიწის ფართობს სომხეთის სასარგებლოდ ათავისუფლებს, მაშინ საზღვარი მის ახალ დინებას ემთხვევა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ადრინდელი დინების ხაზზე რჩება. ორივე შემთხვევაში ჩვენი მეზობელი მოგებაშია. ერთი სიტყვით, სახელმწიფო საზღვრის საკითხში აქ სრული ქაოსია. საყურადღებოა ისიც, რომ მონასტერში სომხეთის მხრიდან მისვლა მაღალი მთის გამო შეუძლებელია, მასთან მხოლოდ შემოვლითი გზით, საქართველოს ტერიტორიის გავლით თუ მიხვალ.

მახსენდება ჩვენი საუბარი მონასტრის დარაჯ რუსი ეროვნების ხნიერ ქალთან, რომელმაც მორიდებულად, ნახევრად საიდუმლოდ გვაცნობა, რომ იგი შეიფარეს მონასტრის ქართველმა მსახურებმა, ბოლოს კი მარტოდ დარჩა მეთვალყურედ და მომვლელად. მანვე გვითხრა, რომ მონასტერი უდავოდ ქართულია, აქ ღვთის სამსახური წარმოებდა მხოლოდ ქართულად, ჩუქურთმები და წარწერები ქართულია; ქართულია საეკლესიო დოკუმენტაციაც, რომელსაც იგი სათუთად ინახავს და მზად არის გადასცეს საიმედო პიროვნებას, თუ ასეთი გამოჩნდება. მისივე ცნობით მონასტრის საქართველოსთვის გადაცემის საკითხით ერთ დროს თურმე პროფესორი ირაკლი ციციშვილი ყოფილა დაინტერესებული. ის ქალბატონი, ალბათ, ცოცხალი აღარ არის, პრობლემა კი ღიად დარჩა.

მეზობელ სომხეთთან მეგობრული დამოკიდებულება ამ და სხვა მსგავსი პრობლემების ორივე ქვეყნის სასარგებლოდ გადაწყვეტის იმედს იძლევა...

**რევაზ ტყემალაძე,**

**ტექნიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენოსანი, საქართველოს დამსახურებული მშენებელი.**

◉ ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

● 1755 წელს პრუსიის მეფე ფრიდრიხ დიდი სასახლის კარისთვის ფერწერული ტილოების შესაძენად ჰოლანდიაში გაემგზავრა. იგი შიშობდა, რომ თავისი წოდებრივი მდგომარეობის გამო ტილოებში ძალზე ძვირს გადაახდევინებდნენ და ამიტომ გადაწყვიტა, ნიდერლანდებში მოხეტიალე მუსიკოსად გადაცმული ჩასულიყო. მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული მეფე ამ მოგზაურობის დროს მართლაც ფლეიტაზე დაკვრით ირჩენდა თავს.

● როდესაც ალექსანდრე მაკედონელს მინისგან დამზადებული უამრავი ნაკეთობა მიართვეს, მან მათი დამსხვრევა ბრძანა და ეს ახსნა იმით, რომ ის უამრავი გულისტკენა აიცილა თავიდან, რომელსაც დაუდევარ მსახურთა მიერ თითოეული ამ ნივთის გატეხა მოუტანდა.

● ერთხელ ჩარლი ჩაპლინს ჰკითხეს: სიკვდილის შემდეგ სად ისურვებდი მოხვედრას, სამოთხეში თუ ჯოჯოხეთშიო. „ერთი მხრივ, სამოთხეში, რადგან იქ კარგი კლიმატია, მაგრამ მეორე მხრივ, ჯოჯოხეთში, რადგან იქ უკეთესი პუბლიკაა“.

● წმიდა ბართლომეს ცოცხლად გააძვრეს ტყავი.

● მრგვალი მაგიდების მოდა კარდინალ მაზარინის დროს დამკვიდრდა. სტუმრებს მრავალი მაგიდის გარშემო კარდინალი იმიტომ სხამდა, რომ წარჩინებულებს სხვების წინაშე არ ეყელყელავათ.

● იტალიელი მოქანდაკე მიქელანჯელო აქტიურად იბრძოდა მედიჩების ტირანიის წინააღმდეგ და 1529 წელს ფლორენციის ომის საფორტიფიკაციო ნაგებობების მშენებლობას ხელმძღვანელობდა.

● „მხოლოდ უზარმაზარი სივრცე უზრუნველყოფს მსოფლიოში ერის თავისუფალ არსებობას“, — წერდა ადოლფ ჰიტლერი თავის „მაინ კამპფში“.

● პაბლო პიკასო უმდიდრესი მხატვარი იყო, მაგრამ ფულს არასოდეს ინახავდა ბანკში და ამბობდა, ბანკები კოტრდებიან და მათი მეანაბრეები კი ფანჯრიდან ხტებიანო.

● „იმედი მაქვს, ამ ტვირთის ქვეშ დავეცემი“, — განაცხადა რაფაელმა, როცა პაპმა ლეო X-მ წმიდა პეტრეს ტაძრის მოხატვა დაავალა.

● რუსეთის ამჟამინდელი პრეზიდენტი მომხრეებს პუტინიოდებს ეძახიან.

● ისააკ ნიუტონმა, ჩვენი პლანეტის ერთ-ერთმა ყველაზე გამოჩენილმა ადამიანმა, 26-წლიანი საპარლამენტო მოღვაწეობის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ ითხოვა სიტყვა. „ბატონებო, — მიმართა მან ლორდებს, — გთხოვთ, ფანჯარა დახუროთ, გამჭოლი ქარია და მეშინია, არ გავცივდე“.

● ნიუტონის კბილი 1816 წელს ლონდონის აუქციონზე 730 გირვანქა სტერლინგად გაიყიდა და მისი ახალი მფლობელი კბილს ბეჭდით ატარებდა.

● უდიდესი მხატვრის, რაფაელის საფლავის ქვაზე ასეთი წარწერაა: „ვიდრე ცოცხალი იყო, დედაბუნებას ეშინოდა მისი, ხოლო როცა მოკვდა, დედაბუნებას მოეჩვენა, რომ მოკვდა მასთან ერთად“.

მოგვაწოდა
ტიტე კოპალეიშვილმა

**განცხადება**

ვიმუშავებ ძიძად სკოლის ასაკის ბავშვთან, შევასწავლი ინგლისურს და სხვა საგნებს.
ტელ: 239-30-05, 593 660-226. მარინა

მოვუვლი მოხუცებულს, შევასრულებ ეძთნის მოვალეობას და საოჯახო საქმეს.
ტელ: 239-30-05, 593 660-226. მარინა

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“ გ. ახვლედიანის ქ. №19. 99-62-77; 599 32-85-76.

◉ კადრი



◉ ანეკდოტები

ქმარს დავურეკე და ვკითხე:
— ძვირფასო, ძალიან გიყვარვარ?
— იყიდე! — მიპასუხა.
აი, რას ნიშნავს ნამდვილი ცოლქმრული ურთიერთგაგება!

* * *

— ძალიან მორცხვი ვარ და მერიდება გოგოსთან მიახლოება...
— შენც დათვერი და მიფორთხდი!

* * *

წყენაზე არ ვრეაგირებ — საპასუხოდ მხოლოდ უცენზუროდ ვიღიმები.

* * *

ყველა ექიმი მანიაკია — შეხვალ თუ არა მის კაბინეტში, მაშინვე „გაიხადეო“, გეუბნებიან.



ალკოჰოლისტები — ეს ისეთი ხალხია, ვინც წელიწადში ოთხჯერ სვამს სამ-სამ თვეობით.

* * *

უკვე ორმოცს გადასცდით? კითხვაზე — „რამდენი წლის ხარო“, დამორცხვებული უპასუხებთ „ოცდაათზე ოდნავ მეტისა ვარო?“ ძალიან გინდათ, რომ გარშემო მყოფთა თვალში ოცი წლით უმცროსად მაინც გამოიყურებოდეთ და ყველანი აღტაცებულნი იყვნენ თქვენი გარეგნობით? — თქვით, რომ სამოცზე მეტისა ხართ!

* * *

— რატომ გააერთიანეს რუსეთის ფედერაციის ჯანდაცვის სამინისტრო და საპენსიო ფონდი? — ეკითხება პეტკა ძმაკაცს.
— ხელისუფლება შეშფოთებულია იმით, რომ ბევრი აღწევს საპენსიო ასაკამდე.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24